ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს და პარასკევს №30 (1660) 28–30 აპრილი, 1998 წ. ● ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ყვავილოვანი“ მინისტრის „აღსასრული“

ყვავილოვანი მინისტრის „აღსასრულის“ შეტყობინებისთანავე პარლამენტის შენობას მივადექ. შესვლისთანავე ფრაქცია „სახალხოს“ კარებს ვეცი და მამუკა გიორგაძის მომღიმარ სახესაც გადავაწყდი.

მოკლედ, ყველაფერი იქედან დაიწყო, რომ გუშინ საქართველოს თავდაცვის „ყვავილოვანმა“ მინისტრმა, ვარდიკო ნადიბაიძემ პატაკი წარუდგინა საქართველოს პრეზიდენტს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თხოვნით, რომელიც შევარდნაძემ დააკმაყოფილა.

ყველაზე საინტერესო ისაა, შევარდნაძის ბათუმში ჩასვლას და როგორც ამბობენ, აბაშიძესთან ხუთსაათიან საუბარს ვარდიკოს მოხსნა რატომ დაემთხვა?! თუმცა არც ისაა ნაკლებად საინტერესო, რა ბედი ეწევათ დანარჩენ „ყბადაღებულ“ მინისტრებს. ალბათ, მათაც იგივე დღე ელით, რაც რამდენიმე მინისტრმა უკვე საკუთარ თავზე გამოსცადა.



იმედია, ადვილად მიხვდებით ჩვენი წუხილის მიზეზს, ვარდიკო გათავისუფლებულია და ეს ალბათ ჩვენი ბოლო მონათხრობი იქნება მის ტრაგიკომიკურ თავგადასავლებზე. ბატონ მამუკას ძალიან ეცოდება ვარდიკო იმის გამო, რომ საცოდავს ლაპარაკი ძლივს უსწავლია და ახლა კი აღარ მოუწევს ბრწყინვალე ქართულის გადმოფრქვევა პარლამენტის ტრიბუნიდანო.

მისივე აზრით, თუ ვარდიკო დუმდა, სხვა მხრივ თუ არა, ამ მხრივ ნამდვილად ჭკვიანურად იქცეოდა, როდესაც სათქმელი არა გაქვს, ან არ იცი, როგორც გადმოსცე, თავის მოჭრას ჩუმად ყოფნა სჯობს. იჯდა ჩუმად, შოულობდა ფულს და გადადგა საკუთარი განცხადებით. რაც არ უნდა მოხდეს, ალბათ, ვარდიკო ნადიბაიძე სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ვერ ასცდება.

საინტერესოა, პრეზიდენტის მიერ დაწყებული მინისტრების საკუთარი განცხადებითვე მოხსნის ეპოპეა სადამდე გაგრძელდება?

კობა კაპანაძე

## გამსახურდია გაექცა არა აჯანყებულებს, არამედ „გრუ“-ს სპეცდაჯგუფებებს

„მთელი ეს ნომენკლატურული ელიტა, გაცვალეს რა „ჩაიკები“ და „ვოლგები“ „მერსედესებზე“ და „BMW“-ებზე, ისევ დასხდნენ ხელმძღვანელ პოსტებზე, ე. ი. ხალხის კისერზე. ამ ელიტის კონცეფცია იმაში მდგომარეობდა, რომ ნამდვილი „ტაციაობა“ შეიძლება მხოლოდ სახალხო, საყოველთაო ძარცვა-გლეჯვით“.



მეოთხე გვერდი

„თავი წამოყო „ინტელიგენციამაც“, რომელიც გამსახურდიას „საკენკთან“ დაახლოებულმა პირებმა შეავიწროვა. მათ თავიანთ ზურგზე იწვნიეს ცხოვრების სიძნელეები და ამიტომაც დაიწყეს მოწოდებები „ფაშისტური“ რეჟიმის დამხობისაკენ“.




მეორე გვერდი

## ფოთის სამხედრო ნაწილიდან გატანილი იარაღი ესებუას საქმეს უკავშირდება?!

## გათიაშვილი საბჭოთა აგენტურის გაშიფვრის წინააღმდეგია

მეორე გვერდი



# ბათიაშვილი საბჭოთა აგენტურის გაშიფვრის წინააღმდეგია

**საქართველოში საბჭოთა აგენტურის გაშიფვრის საკითხის დაყენებამ გარკვეულ წრეებში შიშის სინდრომიც კი გაამეფა, მაგრამ ფაქტია, რომ დღევანდელი ხელისუფლების მიერ ამ სიების გამოქვეყნებას არავითარი აზრი არა აქვს, რადგან მასში გარდა მათთვის არასასურველი პირებისა არავინ აღმოჩნდება. გამომდინარე აქედან, ბუნებრივია ამ საკითხისადმი ბევრის სკეპტიკური დამოკიდებულებაც.**

**გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის ყოფილ უფროსთან, პარლამენტარ ირაკლი ბათიაშვილთან.**




**— ბატონო ირაკლი, არსებობს საქართველოს პარლამენტის დადგენილება რომელშიც ნათქვამია, რომ შეიქმნას ლუსტრაციის მექანიზმის შემუშავების დროებითი კომისია. შესაბამისად, ამის შემდეგ მოხდება იმ პირების ლუსტრირება, რომლებიც სსრკ-სა და საქართველოს სსრ უშიშროების ორგანოებთან თანამშრომლობდნენ აგენტურის სახით. თქვენ, როგორც საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის ყოფილ შეფს, რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ ამის გაკეთება?**

— კომისია უკვე შექმნილია, რომელსაც საქართველოს უშიშროების მინისტრი ბატონი ჯემალ გახოკიძე ხელმძღვანელობს. კომისიის წევრი მეც ვარ.

მე მიმაჩნია, რომ ე. წ. ლუსტრირება ანუ აგენტების სახელების გამომზეურება, მათი პირადი და სამუშაო საქმეების გამოქვეყნება ყოვლად გაუმართლებელია. აქ ლაპარაკია იმ აგენტურაზე, რომლებიც თანამშრომლობდნენ საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოს სსრ უშიშროების კომიტეტთან. ცხადია, ეს ორგანიზაცია მაშინ იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო. უშიშროების კომიტეტის ერთ-ერთი დაქვემდებარებული რგოლი. მოხდა ისე, რომ როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, შეიქმნა დამოუკიდებელი სპეცსამსახურები, რომლებმაც მემკვიდრეობით მიიღეს მონაცემები ძველი აგენტების თაობაზე. ეს უკვე საქართველოს საკუთრებაა, რომელიც ოპერატიულ რესურსს წარმოადგენს და მის გარეშე უშიშროების სამინისტროს მუშაობა წარმოუდგენელია.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, როდესაც შეიქმნა დამოუკიდებელი სპეცსამსახურები, გაგრძელდა მუშაობა ახალი აგენტურის მოზიდვაზე. ძველმაც გააგრძელა საქმიანობა, რა თქმა უნდა, ახალი აზროვნებითა და პრინციპებით.

უშიშროების უმთავრესს ინსტრუმენტს მძლავრი აგენტურული ქსელი წარმოადგენს. ამიტომ, ახალი კონტინგენტი, რომელიც დაემატა, რა თქმა უნდა, ჩვენი რესურსია და დღეს ლაპარაკი მის გაშიფვრაზე ნიშნავს მძლავრი დარტყმა მივაყენოთ უშიშროების სამინისტროს, რადგან ის, ამის შემდეგ, დაკარგავს ძველ აგენტურას — გაშიფვრა ამას ნიშნავს.

მეორეც, ეს გამოიწვევს დიდ შიშს მოქალაქეებში, რომელთანაც უშიშროებამ უნდა აწარმოოს მუშაობა მათი მოზიდვის მიზნით. იმის შიშით, რომ მომავალში მათაც გაშიფრავენ, არავინ გამოთქვამს თანამშრომლობის სურვილს. ამით უშიშროების სამინისტროს მოეკვეთება მნიშვნელოვანი, ასე ვთქვათ, პერსპექტივა მუშაობისათვის. მე მგონი, კომისია ამ საკითხს სერიოზულად მიუდგება და არ დავა ზოგიერთების პოპულიზმის დონეზე.

ასე რომ, ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი ამ მიმართულებით.

**— ბატონო ირაკლი, მოგეხსენებათ, ცეკას მდივნებს მოსკოვი ნიშნავდა, შევარდნაძე ხომ არ აღმოჩნდება ამ სიებში?**

— არა! ცკ-ს მდივანი ინიშნებოდა და სულ არ სჭირდებოდა მისი გადმობირება უშიშროების კომიტეტს. ის, რა თქმა უნდა, ისედაც სანდო ადამიანი იყო სისტემისათვის. ასე ვთქვათ, კომუნისტური იერარქიის სისტემაში იყო გამოზრდილი.

**— ბატონო ირაკლი, როდესაც საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოეწყო და ჩამოვიდა შევარდნაძე, თქვენ ბრძანდებოდით საქართველოს საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის უფროსი, რომელიც რუსეთიდან ფინანსდებოდა...**

— მე არავინ მაფინანსებდა, გარდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა. აქტიურად მხოლოდ ამერიკელი კოლეგები მეხმარებოდნენ.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს პერიოდში შეიქმნა უშიშროების აკადემია, კვლევითი ცენტრი „მოდული", „ომეგას" პირველი სპეცდანიშნულების რაზმი, მაგრამ არასდროს არავინ მაფინანსებდა. ჩვენ ვიყავით დამოუკიდებელი, გამოყოფილი სისტემა.

**— თქვენი აზრით, შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანაში რუსეთის ხელი ხომ არ ერია?**

— ასეთნაირად საკითხის დაყენება, რომ პრეზიდენტის ჩამოყვანაში რუსეთი ურევია, არასწორად მიმაჩნია. რა თქმა უნდა, რუსეთის ხელი ერია სახელმწიფოს გადატრიალება-

გაგრძელება მესამე გვერდზე

# ფოთის სამხედრო ნაწილიდან გატანილი იარაღი ესებუას საქმეს უკავშირდება?!

რამდენიმე დღეა, მოარულმა ხმებმა გვამცნეს, რომ 24 მარტს ქალაქ ფოთის ერთ-ერთი სამხედრო ნაწილიდან ცეცხლსასროლი იარაღი უკანონოდ იქნა გატანილი. არსებობს ვერსია იმის შესახებ, რომ ეს დანაშაული სამეგრელოში მიმდინარე ბოლოდროინდელ მოვლენებს უკავშირდება, კერძოდ, 1998 წლის 5 აპრილს გოჩა ესებუას დაკრძალვის სამგლოვიარო პროცესიაზე მომხდარ თავდასხმას. არც ისაა გამორიცხული, რომ აღნიშნული იარაღი ერთ დროს ტერორისტების ხელში ყოფილიყო ან ამ იარაღით სხვა დანაშაულებიც იყო ჩადენილი, მაგრამ ამას გამოძიება დაადგენს.




25 აპრილს ტელეფონით დავუკავშირდით ქალაქ ფოთის სამხედრო პროკურორს, რომელმაც დაადასტურა ინფორმაცია №12-225 სამხედრო ნაწილიდან ორი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისა და ორი პისტოლეტის გატაცების შესახებ. მაგრამ თუ რა მასალები გააჩნია გამოძიებას, ამის დასახელებისაგან მან თავი შეიკავა. არაა გამორიცხული, აღნიშნული ქმედება მიზეზობრივ კავშირში იყოს გოჩა ესებუას გახმაურებულ საქმესთან.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას ზედამხედველობს ფოთის სამხედრო პროკურატურა.

**კობა გურული**

# „ყველაფერზე ხელისუფლება აგებს პასუხს". ანუ რას აპირებენ დევნილები ყრილობაზე?!

25 აპრილს სასტუმრო „ივერიის" საქტო დარბაზში აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილ პოლიტიკურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭოს მიერ პრესკონფერენციის მოწვევა განაპირობა იმ უამრავმა პრობლემამ, თუ საკითხმა, რომელიც უნდა დაისვას და გადაწყდეს მაისის თვისათვის დანიშნულ დევნილთა ყრილობაზე. ამ დღეს ჟურნალისტებმა მართლაც უხვად მოიყარეს თავი დარბაზში, რის გამოც კმაყოფილება გამოხატეს საკოორდინაციო საბჭოს აქტიურმა წევრებმა, მაგრამ ვინაიდან დევნილებთან შესახვედრად ბ-ნი ვახტანგ ყოლბაიაც მოვიდა, პრესკონფერენციამ სახეცვლილი ფორმა მიიღო.



როგორც საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ ბრძანა, მათ ორი სარჩელი შეუტანიათ სასამართლოში; ერთი — საქართველოს ტრანსპორტის პოლიციის მიმართ, რომელმაც ბლოკირება გაუკეთა 16 ნოემბერს და 21 დეკემბერს დევნილებს და ფიზიკური ძალის გამოყენებით არ დაუშვეს ყრილობაზე. მეორე — თამაზ ნადარეიშვილის სახელზე, რომელმაც მასმედიის საშუალებით უკვე მერამდენედ ამცნო საზოგადოებას, რომ საკოორდინაციო საბჭო მოქმედებს რუსეთის კოორდინირებით და არძინბას წყალზე ვასხამთ წყალს; ამიტომ მიაჩნიათ, რომ სუკის აგენტის ვინაობა უნდა გაირკვეს სასამართლოს ძალით.

ამის გარდა, არის რიგი საკითხებისა, რომელიც ეხება შემწეობის საკითხებს. ის მიზერული თანხა, რომელიც დევნილებს ერგებოდათ თვეში 1 ლარისა და 40 თეთრის ოდენობით, უკვე რა ხანია შეწყდა. მოხდა რაღაც გადაცემა საბანკო ოპერაციებისა აფხაზეთიდან ფოთის ბანკზე, რომლის ადგილსამყოფელი ჯერჯერობით ვერავინ ვერ გაიგო და პურის ფულს, რომლის იმედზეც იყო დევნილი მოსახლეობა, იმასაც აღარ აძლევენ. ეს კი უკვე არის კულმინაცია ხელისუფლების ცინიზმისა — ითქვა კონფერენციაზე.

ჯემალ გამახარიამ საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის მოძრაობა „ჭყონდიდელის" პოლიტიკური საბჭოს სახელით გააკეთა განცხადება, რომლითაც გამოიხატა დამოკიდებულება ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხში მოქალაქეთა კავშირის „პერმანენტული აქციის" მიმართ.

მოქალაქეთა კავშირს, რომლის ხელშიც არის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, სურვილის შემთხვევაში ყოველგვარი აქციის გარეშე ძალუძს მის მიერვე მოწვეული რუსის ჯარის გაყვანა. ამისათვის საკმარისია ამ კავშირის თავმჯდომარის, შევარდნაძის ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღებაც კი, მაგრამ მათ ასეთი სურვილი არასოდეს ჰქონიათ. ის, რომ საერთო სახალხო გამოსვლების თავიდან ასაცილებლად მოქალაქეები აწყობენ „აქციას", ხოლო მისი ლიდერი მოსკოვში მიემგზავრება იმპერიის ჯარების დატოვებაზე ხელის მოსაწერად, არის მორიგი ფარსი, — ნათქვამი იყო აღნიშნულ განცხადებაში.

დევნილთა მომავალ ყრილობაზე ვრცლად ისაუბრა ბორის კაკუბავამ, მან ერთ-ერთ მთავარ საკითხად აფხაზეთიდან არჩეული დეპუტატების მანდატების შეწყვეტა დასვა. ვმოქმედებთ გამჭვირვალედ, ვუხმობთ ყველას. ჩვენი მიზანია საქართველოს ერთ ბლოკად გაერთიანება... ვახტანგ ყოლბაია ჩემი ახლობელი კაცია, ნადარეიშვილიც, მაგრამ ჩემი ღვიძლი ძმაც რომ იყოს მათ ადგილზე, მათ მოწინააღმდეგედ ვითვლები მაინც... თუ ჩვენს პროგრამას აფხაზეთის დაბრუნების საკითხში ხელისუფლება არ მიიღებს, ჩათვალოს, რომ 300000 დევნილი დაკარგულია — ბრძანა ბ-ნმა ბორის კაკუბავამ.

გამომსვლელებმა ვახტანგ ყოლბაიას შეახსენეს, რომ მთავარი პრიორიტეტი აფხაზეთის დაბრუნებისა არის მისი მოსახლეობა, ამიტომ ყველა მოლაპარაკებაზე ხელისუფლების წარმომადგენლებმა კი არ უნდა იარონ მარტო, არამედ თან უნდა ატარონ დევნილებიც, თუ გამარჯვებაა — ერთად უნდა გაიმარჯვონ, სიკვდილის შემთხვევაშიც ერთად უნდა დაიხოცონ. ბ-ნმა მურმან ზაქარაიამ მკაცრად მოითხოვა, რომ აფხაზეთის დაბრუნების ინიციატივა დაუბრუნდეს დევნილს.

ვახტანგ ყოლბაიამ მეგრული ფრაზა მოიშველია, რომელიც ასე ითარგმნება: „ყველაფერზე ხელისუფლება აგებს პასუხს!" ყველაფრის მიუხედავად, ბ-ნი ვახტანგი დაპირდა საკოორდინაციო საბჭოს, რომ ამის შემდეგ ითანამშრომლებს მათთან, ასევე იგი შეხვდება და გაესაუბრება ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსს, მეუფე დანიელს, რომელიც, როგორც ამბობენ, არ აკლდება მაღალჩინოსანთა ჭირსა და ლხინს, დევნილთათვის კი ერთხელაც არ მოუკითხებია.

**ხათუნა ხატიაშვილი**

# კრიმინალური ქრონიკა

22 აპრილს, 13 საათსა და 12 წუთზე ცეცხლი გაუჩნდა კოლაუ ნადირაძის ქუჩის №39-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სახურავს. ხანძრის მიზეზი ამჟერად, უმეთვალყურეოდ მიტოვებული შეშის ღუმელი აღმოჩნდა.

შემთხვევის ადგილას, ოთხ წუთში მისულ მეხანძრეთა რაზმებს, დიდი ძალისხმევა დაჭირდათ, ოციოდე კვადრატულ მეტრ ფართობზე სახურავის ხის კონსტრუქციის დასაშლელად და თუნუქის ფურცლების ასაძრობად, რათა სახურავის ძირითადი ნაწილი დაწვას გადარჩენოდა. ხანძარი რამდენიმე წუთში იქნა ლიკვიდირებული.




* * *

26 აპრილს, დაახლოებით 18 საათსა და 27 წუთზე, ხანძარმა კინოთეატრ „ისნის" სახურავზე იფეთქა. უახლესი სახანძრო ნაწილიდან მისული მანქანები შემთხვევის ადგილას ორ წუთში გამოცხადდნენ და ცეცხლის კერის ლოკალიზებაც მაშინვე მოხერხდა. 6 სახანძრო მანქანის და ორი სპეციალური კიბის გამოყენებით, 10 წუთის შემდეგ სტიქია დამარცხებულ იქნა. ხანძარმა ნაწილობრივ გაანადგურა დაახლოებით 30 კვადრატული მეტრი ფართობის სახურავი. ცეცხლის გაჩენის მიზეზებს შესაბამისი სამსახური უმოკლეს დროში დაადგენს.




**„ფოტო-ნიუსი"**

# რადიოსადგური „თავისუფლება“ იუწყება:

ცხინვალის რეგიონში ჩრდილოეთ ოსეთის-ალანიას პრეზიდენტის ძასოხოვის ვიზიტის შემდეგ ქართველმა ჟურნალისტებმა აღნიშნეს, რომ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების მოსახლეობის ანტიქართული განწყობილება აშკარად შენელდა. ოსური სეპარატიზმით აღბეჭდილი ქართულ-ოსური კონფლიქტები ე. წ. სამხრეთ ოსეთის სახელისუფლო ლიდერების პრორუსული ორიენტაციის მიუხედავად გარკვეულწილად განვითარების პროქართულ სტადიაში შედის, ყოველ შემთხვევაში, ძასოხოვის ვიზიტისას ცხინვალის ოსი მოსახლეობის ქართველ ჟურნალისტებთან რუსულ კი არა, ქართულ ენაზე დალაპარაკების ფაქტი გარკვეული დასკვნის გაკეთების საშუალებას ნამდვილად იძლევა. ქართულ-ოსური სახალხო დიპლომატია ერთმანეთთან დიალოგს ქართულად იწყებს.

ვის სჭირდება რუსეთის ე. წ. სამშვიდობო ძალების ყოფნა რეგიონში?

გვესაუბრება რადიო „თავისუფლების“ ცხინვალელი კორესპონდენტი ბოცო ჯაყელი.

კორესპ: ახლახან ქარელისა და ყორნისის რაიონების ქართველი და ოსი მოსახლეობის მოთხოვნას რეგიონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანისა და მათ ადგილზე ქართულ-ოსური სამართალდამცავი შერეული ძალების შენაცვლების შესახებ აქტიურად დაუჭირა მხარი დიდი და პატარა ლიახვის ხეობის ქართველმა მოსახლეობამ. საპასუხოდ, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება არ იზიარებს მოსახლეობის პოზიციას და პრინციპულად ეწინააღმდეგება რეგიონიდან სამშვიდობო ძალების გაყვანას. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ მელიტონ კაზიევმა ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ოსი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც რუსეთის ძალების გაყვანას მოითხოვს, კარგად ვერ ერკვევა არა მარტო რეგიონში, არამედ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და, ამდენად, ისინი მოწინააღმდეგის წისქვილზე ასხამენ წყალს. მისი აზრით, მშვიდობის დამცველები მანამდე დარჩებიან რეგიონში, სანამ ოსეთი არ შევა რუსეთის იურისდიქციაში, ხოლო სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იური გაგლოითიმ კი რეგიონში რუსეთის სამშვიდობო ძალების კონტინგენტის გაზრდა მოითხოვა. ცხინვალის რეგიონში დისლოცირებული სამშვიდობო ძალების ერთ-ერთმა სამხედრო მეთაურმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ საკონფლიქტო რეგიონში ორი ხალხის თანასწორუფლებიან ცხოვრებისათვის სიტუაცია ჯერ არ მომწიფებულა და, ამდენად, სამშვიდობო ძალების გაყვანის შემდეგ მოსალოდნელია მათ შორის კონფლიქტმა კვლავ იჩინოს თავი. მისი აზრით, ისეთი მაღალი გეოპოლიტიკური მდებარეობის ქვეყნიდან, როგორიც საქართველოა, რუსეთი კავკასიაში იცავს საერთო მდგომარეობის სტაბილიზაციას და აშკარად იბრძვის ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. მან აღნიშნა ისიც, რომ დღეს არ არსებობს პოლიტიკური მოტივი რუსეთის სამშვიდობო ძალების რეგიონიდან გაყვანისა და ეჭვი გამოთქვა, რომ რუსეთი რეგიონიდან სამხედრო ძალებს, როგორც ჩანს, არ გაიყვანს.

* * *

თვითმარქვია აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა გალის რაიონში დროებითი კოალიციური ადმინისტრაციის შექმნის წინააღმდეგია. ეს სერგეი შამბამ განაცხადა „ინტერფაქსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში. სერგეი შამბას აზრით, ეს არის აფხაზეთის სხვა ქალაქებში ასეთი ადმინისტრაციების შექმნის მცდელობა და ხელს უწყობს აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენას. გარდა ამისა, სერგეი შამბამ აღნიშნა, რომ რუსეთმა უარი უნდა თქვას საქართველოს ცალმხრივ მხარდაჭერაზე და იზრუნოს აფხაზეთისათვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების მოხსნისათვის.

* * *

თბილისში, სახელმწიფო კანცელარიის შენობაში გაიმართა მთავრობის გაფართოებული სხდომა, რომლის დღის წესრიგში შეტანილი იყო შემდეგი საკითხები: სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა და 1998 წლის I კვარტალში საქართველოს ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგები.

როგორც სხდომაზე განაცხადა საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა ლადო პაპავამ, 1998 წლის I კვარტალში ქვეყნის ერთობლივმა საშინაო პროდუქციამ 1.132,7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 11,2% აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. სამომხმარებლო ფასების ეროვნულმა ინდექსმა შეადგინა 101,4% 1997 წლის დეკემბერთან შედარებით.

როგორც მინისტრმა თქვა, ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში.

* * *

შალვა ნათელაშვილი სახელმწიფოს კრიზისიდან გამოყვანის ერთადერთ საშუალებად მინისტრთა კაბინეტის გუნდური მეთოდის არსებობას მიიჩნევს.

— კრიზისს ვერ განვმუხტავთ ორშაბათის რადიოინტერვიუებითა და მოქალაქეთა კავშირის გაუთავებელი შეკრებებით, — აღნიშნა მან. — ქვეყნის მართვის სადავეები ხელში უნდა აიღოს მინისტრთა გუნდმა და პასუხი უნდა აგოს პარლამენტის წინაშე, — დასძინა იგი. ამგვარი ინსტიტუტი კი საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული არ არის და შესწორების შეტანა მას მართებულად მიაჩნია. იმ შემთხვევაში, თუ უმრავლესობა კონსტიტუციაში შესწორებების შეტანაზე არ დათანხმდება, ნათელაშვილი პარლამენტის სხდომაზე ღია წესით განცხადების გაკეთების პირობას იძლევა. იგი უნდობლობას უცხადებს სამხარეო ინსტიტუტებს და მათ ხელოვნურად გაბერილ შტატებად თვლის. უფრო მეტიც, მზადაა საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს სარჩელი, რადგან ხელისუფლება ერთ ავტონომიას ვერ უვლის და 13-14 სამხარეო ხელმძღვანელს კი ნამდვილად ვერ აუვა, — ასკვნის იგი.

# ბათიაშვილი საბჭოთა აგენტურის გაშიფვრის წინააღმდეგია

მეორე გვერდიდან

ში, თუმცა, პირდაპირ კი არა, არამედ, ეს იყო მისი ინსპირაციით, რაზედაც მე არაერთხელ მითქვამს. მინდა აღვნიშნო, რომ სამხედრო საბჭოში გარკვეული ძალები პირდაპირ იღებდნენ ინსტრუქციას რუსეთიდან, მაგრამ პოლიტიკური ძალების უმრავლესობაში შევარდნაძის ჩამოყვანის მოთხოვნილება ნამდვილად არსებობდა და ეს მოთხოვნა მაშინ გაიზარდა, როდესაც ყველამ აშკარად დაინახა სრული ანარქია, ქაოსი და ათასი უბედურების საშიშროება.

**— პრეზიდენტ გამსახურდიას ჩამოგდება რამ განაპირობა, როდესაც მის უკან ძალოვანების მთელი არმია იდგა. ხალხის მასებში დაკარგა დასაყრდენები, თუ ეს სამსახურები განუდგა?**



— ხალხის მასებში დაკარგა დასაყრდენი, ამას ვერ ვიტყვი, თუნდაც იმიტომ, რომ მას 87%-მა მისცა ხმა. ე. ი. მხარდაჭერა ჰქონდა. უბრალოდ, მისი პოლიტიკა ასეთნაირად წარიმართა. როდესაც დაპირისპირება დაიწყო, არ უარვყოფთ, რომ გამსახურდიას ჰყავდა თავისი მომხრეები და საკმაოდ დიდი რაოდენობითაც, მაგრამ ძალოვანები გვერდზე გადგნენ. მათი მხრიდან არავითარი რეაგირება არ ყოფილა. ერთ-ერთი ძალოვანი ეს იყო გვარდია, რომელიც გამოვიდა გამსახურდიას ხელისუფლების დასაცავად.

ესაუბრა
**კობა კაპანაძე**

# „ერის შერიგება ჯარისკაცებიდან უნდა დაიწყოს“...

27 აპრილს, საქართველოს უფლებების დაცვისა და სამხედრო სამოქალაქო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების კვლევის ცენტრის საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ პრესკონფერენცია გამართა, რომელიც ითვალისწინებდა ჯარის პრობლემების წარმოჩენას.

აღინიშნა, რომ ეს ორგანიზაცია ახორციელებს პროექტს, რომელსაც ჰქვია ჯარისკაცთა უფლებების დაცვის რეალური მექანიზმის შემუშავება, და რომელიც დააფინანსა ფონდმა „ევრაზამ“. პროგრამით გათვალისწინებული მრავალი სამუშაო ჩატარდა და გამოკითხული იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების 3000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე რეგიონების მიხედვით (ლაპარაკია ოფიცრებზე, ჯარისკაცებზე და მშობლებზე).

დავით დარჩიაშვილსა და ნოდარ ეფრემაძეს მიაჩნიათ, რომ მრავალთა შორის არსებობს საერთო პრობლემები, რაც გამოიხატება ოფიცერთა მწირხელფასიანობასა და საჯარისო ნაწილებში სოციალური პირობების პრაქტიკულად არარსებობაში; რაც საბოლოოდ კორუფციის საბაბი ხდება. ჩატარებული გამოკითხვის შედეგად შედგენილია მასალები, სადაც გათვალისწინებულია სამხედრო მოსამსახურეთა აზრი სახელმწიფოს არმიის მშენებლობის საკითხებზე; როგორც ბ-ნმა ნოდარ ეფრემაძემ აღნიშნა, ისინი გადაეცემათ პრეზიდენტს, უშიშროების საბჭოს, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს და მთლიანობაში იგი საზოგადოების სამსჯავროზეც გავა.

აღინიშნა, რომ აღმოსაფხვრელია სისტემა, რომლითაც კომისარიატები ექვემდებარებიან თავდაცვის სამინისტროს და გარკვეული მონოპოლიები ჰქონიათ წვევამდელთა გადარჩევაში. იმისათვის, რომ ჯარისკაცი საზღვარზე დადგეს, არ არის საჭირო მაინცდამაინც დიპლომატიური ან სხვა განათლება ჰქონდეს, რადგან სტუმრის მისალმების, საბუთების მოთხოვნისა და დამშვიდობებისათვის სულ ოციოდე წინადადებაც კმარა. ოფიცერთა საკითხიც რაღაც კრიტერიუმის შემუშავებით უნდა მოხდეს, თუნდაც იმიტომ, რომ არ განმეორდეს თავის დროზე მომხდარი, როცა 313 გასაწვევი ოფიცრის ნაცვლად გამოწვეულთა რიცხვი ხუთჯერ მეტი აღმოჩნდა, რამაც საბოლოოდ კორუფციის მომენტები გამოიწვია.

კითხვაზე, საჯარისო ნაწილებში გავრცელებულ ეპიდემიებს შორის არსებობს თუ არა ე. წ. „თურქული მუნი“, ბ-ნმა ეფრემაძემ თქვა, რომ მისი ინფორმაციით, შემოწმებულ რეგიონებში მსგავსი რამ არ არსებობს.

საქართველოს თავდაცვის ან უკვე გათავისუფლებული მინისტრის მისამართით დასმულ კითხვებზე, აღნიშნული ორგანიზაციის ლიდერებმა თავი შეიკავეს, მაგრამ გაიხსენეს ძველი აზრი, თუნდაც ის, რომ ქვეყანას არასოდეს ეყოლება პრესტიჟული არმია უპრესტიჟო მინისტრის ხელში. ბ-ნმა ნოდარ ეფრემაძემ არც ის „დაუკარგა“ ვარდიკოს, რომ თავის დროზე ერთი კარგი საქმეც აქვს გაკეთებული, კონკრეტულად, სამხედრო სტრუქტურებიდან მხედრიონის, გიორგაძის და კიტოვანის დაჯგუფებების მოსპობას გულისხმობდა.

პრესკონფერენციას ევროპელი ჯარისკაცების საბჭოს წევრი ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრებიც ესწრებოდნენ.

**ხათუნა ხატიაშვილი**

# ღია წერილი საქართველოს სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმირების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს მთავარ სახელმწიფო სანიტარულ ექიმს

## ბატონ ნ. შავდიას

ბატონო ნიკოლოზ,

როგორც ცნობილია, გორის ხორცკომბინატის მაცივარში, სადაც 07.1986-01.1990 წლებში ინახებოდა ბელორუსიიდან გამოგზავნილი ე. წ. „რადიაციული ხორცი“, საქართველოს სახალხო ფრონტის გორის რეგიონალური ორგანიზაციის დიდი ძალისხმევით პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი ღონისძიებები უნდა ჩაეტარებინა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს (მინისტრი გ. კვესიტაძე) საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს 5.11.1992 წლის №281-52 წერილის შესაბამისად. სპეციალურად გამოყოფილმა კომისიამ ეს სამუშაოები ჩაატარა მხოლოდ 1997 წელს. კერძოდ, მაცივრიდან გამოიტანა ყინული, გაადნო, გაატარა საცერში და ჩაუშვა მტკვარში. სხვა პროფილაქტიკური სამუშაოები არ ჩატარებულა.

გვაქვს ინფორმაცია, რომ გასული წლის შემოდგომაზე, კომისიის მიერ ჩატარებული სამუშაოს შემდეგ, რადიოაქტივობა გორის ხორცკომბინატში, მაცივარში შესასვლელში მეტი იყო ნორმაზე 2-4-ჯერ (მაცივარში, ცხადია, გაცილებით მეტია მოსალოდნელი); გაიზარდა ანემიით დაავადებულ ბავშვთა რიცხვი გორში; 1986 წელს ბელორუსიიდან გამოგზავნილი ხორცი შეტანილ იქნა აგრეთვე, თბილისის და ბათუმის საცავებში.

მოგმართავთ თხოვნით, გვიპასუხოთ, რა ინფორმაცია გაქვთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

**პატივისცემით**
**საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის სახელით**

**ნ. ნათაძე**

# 9, 19 და 29 რიცხვებში განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო

დეპუტატ მამუკა არეშიძის განცხადების კომენტირებისას, რომელიც საქართველოს პრეზიდენტზე ახალი ტერაქტის მზადებას ეხება, ედპ-ის თავმჯდომარემ, ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ გეა-ს კორესპონდენტს განუცხადა, რომ მოვლენათა მსგავსი განვითარება გამორიცხული არ არის, რადგან 9 თებერვალი უკვალოდ არ ჩაივლის. მისივე თქმით, სამართალდამცავი ორგანოები ბრმად მიყვებიან კვალს და რაიმე კონკრეტული კავშირების დადგენას ვერ ახერხებენ.

„ისლა დაგვრჩენია, განსაკუთრებული სიფრთხილე თვის იმ რიცხვებში გამოვიჩინოთ, რომლებშიც ციფრი „9“ შედის“ - დასძინა ნახევრადხუმრობით სარიშვილი-ჭანტურიამ.

# ახალი ამბები

## ედპ-ის ლიდერი შევარდნაძის და აბაშიძის ერთად მგზავრობას მიესალმება

საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტს ბათუმში ედპ-ის ლიდერი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია დადებითად აფასებს. როგორც მან გეა-ს კორესპონდენტს განუცხადა, ასევე მნიშვნელოვანია შევარდნაძისა და აბაშიძის თურქეთში აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებთან შეხვედრაზე ერთად გამგზავრება.

„საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტი აჭარის ლიდერის თახლებით მოაწერს ხელს „ბაქო-ჯეიჰანის“ მარშრუტით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ ხელშეკრულებას“ - მიაჩნია ირინა სარიშვილი-ჭანტურიას.

მისი აზრით, ეს ხელმოწერა საქართველოს დიდ საფრთხეს აშორებს, თუმცა პროექტის განხორციელებამდე ქვეყნის სხვადასხვა წერტილში მისი ხელისშემშლელი ინციდენტების გარკვეული ძალების მიერ ინსპირირებას არ გამორიცხავს.

## სამიტი შესაძლოა გადაიდოს?

„მოსალოდნელია, რომ 29 აპრილის სამიტი ისეთივე უცნაურ ვითარებაში გადაიდება, როგორც მარტში დაგეგმილი სამიტი გადაიდო“ - განაცხადა ედპ-ის ლიდერმა, ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას. მისივე თქმით, ჯერჯერობით, დსთ-ის არც ერთ ქვეყანაში სამიტისათვის სერიოზული მზადება არ შეიმჩნევა.

# გამსახურდია გაექცა არა აჯანყებულებს, არამედ „გრუ"-ს სპეცდაჯგუფებებს...

შვიდი წელი გავიდა მას მერე, რაც ყველაფერი დაინგრა. ეს შვიდი წელი იყო უდიდესი თავისი მასშტაბით, სისხლის სამართლისა და საპოლიციო ქრონიკით. ჯერ კიდევ არ გაფერმკრთალებულა მეხსიერებაში აღფრთოვანებული ხალხი მიტინგებზე. ორატორები, რომელნიც ლაფს ასხამდნენ საბჭოთა წყობილებას, თავისუფლების მათრობელა სურნელი.

მასები ბობოქრობდნენ მოედნებსა და ქუჩებში. ვირთხებივით გარბოდნენ და იმალებოდნენ უშიშროების თანამშრომლები და სხვა სპეცსამსახურების წარმომადგენლები, გაუმჯობესებული დაგეგმარების სახლებში ჩაკეტილი პარტიული ჩინოვნიკები ბოლმით იხრჩობოდნენ.



ადამიანებს კი უხაროდათ. ისინი დაღლილი იყვნენ სილატაკით, უსამართლობით, ტყუილებით და ნახევრადმშიერი არსებობით. საკუთარ სიცოცხლეზე და ოჯახზე შიშით, სისტემით, რომელმაც ისინი აქცია კომუნისტი მედროვეების ნახირად.

უდიდესი სურვილი სიცოცხლისა ადამიანებს აიძულებდა პარტიულ სიებში ეძებნათ ის ბლოკები, რომლებიც ყველაზე ანტიკომუნისტურად იყვნენ განწყობილნი და შეეძლოთ რადიკალური ცვლილებების გატარება და მათ მართლაც გააკეთეს არჩევანი — „მრგვალი მაგიდა" ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით. ხალხი ზეიმობდა, ვერავინ ვერ ხვდებოდა, რომ სცენარი მოსკოვიდან იმართებოდა. როდესაც ცნობილი გახდა, რომ კომუნისტურ ნომენკლატურას მოუწევდა პირველ თავისუფალ საარჩევნო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება, მოსკოვიდან მაშინათვე ყველა „ორგანომ" მიიღო ბრძანება ადგილობრივ ხელისუფლებას და „აქტივისტებს" მხარი დაეჭირათ ანტიკომუნისტ გამსახურდიასთვის. რატომ?

ჯერ კიდევ ანდროპოვის დროს, ანალიტიკოსებმა „ორგანოებიდან" დაიწყეს გათვლა ვარიანტებისა, როგორ შეიძლებოდა უფრო შერბილებულ რეჟიმზე გადასვლა. „ადამიანური სახის" სოციალიზმზე, აღორძინებინათ ლენინური „ნეპის" მსგავსი სოციალიზმი, მოეხდინათ საზოგადოების შეგნებაში უკვე მკვდარი იდეის რეანიმაცია.

მაგრამ ისინი შეცდნენ. მათი ანგარიში არ გამართლდა, რადგან ვერ გაითვალისწინეს პოლიტიკური ელიტის ფსიქოლოგიის ცვლილებანი, რომელიც აპოლიტიკურ ოლიგარქაში გადაიზარდა. ბოლშევიკების მორალური სიმახინჯე გადავიდა აბსოლუტურად ამორალურ და აპოლიტიკურ გენერაციაში კრიმინალური შლეიფით. ეს ამორალობა და აპოლიტიკურობა ყველაზე მეტად ვლინდებოდა საკუთარი ინტერესებისათვის ბრძოლის სფეროში. და როცა ჩინოვნიკებმა გაიგეს, რომ სისტემის ნგრევა გარდაუვალია, მათ გასაოცარი სიმშვიდით უარი თქვეს არამარტო თავიანთ იდეალებზე, რომლებიც მათ არც კი ჰქონიათ სინამდვილეში, არამედ თავიანთ სამწყსოზეც, რომელსაც ჯერ კიდევ სჯეროდა ამ იდეალებისა. სავლეების პავლეებად გადაქცევის ეს ნაირფერი გარდაქმნა გასაოცრად ერთი შეხედვით გვეჩვენება მხოლოდ.

კომპარტიის და სსრკ-ს ნგრევა განსაზღვრული იყო გლობალური ეკონომიკური კრიზისით, რომელიც იმუქრებოდა ამ ორი მახინჯი წარმონაქმნის გაცამტვერებას. იცოდნენ რა მდგომარეობა ეკონომიკაში და ილტვოდნენ რა, გადაერჩინათ საკუთარი თავი, პარტნომენკლატურა გორბაჩოვის, იაკოვლევის, შევარდნაძის, ელცინის და K° სახით ცდილობს მშიერი ხალხის აჯანყების ისარი ზევიდან გარდაქმნაზე გადაიტანოს.

როგორც კი ბოლშევიკური იდეების უკანასკნელი მიკრობი გარდაიცვალა, ნომენკლატურამ დაიწყო სასწრაფოდ ზრუნვა საკუთარი თავის გადარჩენისათვის. უარი თქვეს ყოველგვარ პასუხისმგებლობაზე, რაც ჩაიდინეს თვითონ და მათმა წინამორბედებმა და ყველაფერი დააბრალეს სისტემას, თითქოს თვითონ არ იყვნენ ამ სისტემის გენერატორები, მათ ყველაფერი დაიყვანეს ელემენტარულ ფორმულამდე: ასეთი იყო ცხოვრება!! უკვე კონკრეტულად არავინ აგებდა პასუხს ჩადენილზე, უცნობი გახდა მსხვილ საწარმოო გაანგარიშებებზე და დანაშაულობებზე პასუხისმგებელი. თუ საზოგადოებისადმი მიყენებულ ზარალზე არვინ აგებს პასუხს, მაშინ მთელი სოციალური ორგანიზმი განიცდის დეგრადირებას. ხელისუფლება ათწლეულების მანძილზე დაუსჯელად აწარმოებდა ძალმომრეობას არა მხოლოდ ხალხის უმრავლესობაზე, ცალკეულ პირებზე, არამედ განვითარების ობიექტური კანონების მიმართაც. ახლა ამაზე ხალხმა უნდა ზღოს. მისი „ავანგარდი?" იგი ისევ ცხენზეა ამხედრებული. მთელი ეს ნომენკლატურული ელიტა, გაცვალეს რა „ჩაიკები" და „ვოლგები" „მერსედესებზე" და „ბმვ"-ზე, ისევ დასხდნენ ხელმძღვანელ პოსტებზე, ე. ი. ხალხის კისერზე.

როცა დაიწყო საკუთრების გადანაწილება, სწორედ ნომენკლატურული ელიტა, დაწყებული ხელისუფლებით და უბრალო ჩინოვნიკებით დამთავრებული, იყო დაინტერესებული შეექმნათ სამართლებრივი დანაშაულის გარემო. ამ ელიტის კონცეფცია იმაში მდგომარეობდა, რომ ნამდვილი „ტაციობა" შეიძლება დაიწყოს მხოლოდ საყოველთაო ძარცვა-გლეჯით. სჯობს ქვეყანა მისცენ საყაჩაღოდ და შეიქმნან თვითონ თავიანთი მოქმედებისათვის სოციალური ბაზა. ბოლოსდაბოლოს ყველაფერი ცივილიზებულ კალაპოტს დაუბრუნდება. დღეს ჩვენ სწორედ ამ კონცეფციის მდგრად ტენდენციას ვხედავთ.

შეიძლება ამას „ლათინოამერიკული" ვარიანტი ვუწოდოთ. რომ შეერთდეს „კაპიტალიზმის" უპირატესობანი (კერძო საკუთრება) „სოციალიზმის" უპირატესობასთან (მძლავრი ბიუროკრატიული აპარატი, სამხედრო-პოლიციური რეჟიმი). ამისათვის საჭირო არ არის ლოზუნგები და იდეები, აქ მხოლოდ ჯავშნიანი მუშტია საჭირო, რომლითაც ამყარებენ „წესრიგს". ამყარებენ მას არა კომუნისტური პრინციპების სახელით, არამედ პინოჩეტისებურად: „ლაპარაკობანა დამთავრდა და იწყება საქმე". პირადი საკუთრების პრივატიზაცია იმის ჯიბეში მიდის, ვინც მას ფლობს, ე. ი. უმაღლეს-სამინისტრო-საბჭოთა პარტიული ბიუროკრატიის და სისხლის სამართლის დამნაშავეთა ჯიბეში. ამას დაემატება იმ „იმპერიალისტ მტაცებლებთან" კავშირი, რომლებიც სატანკო უზრუნველყოფას დაეყრდნობიან.

საქმე იმაშია, რომ ვერც



ცივილიზებულ ლიბერალურ საზოგადოებას, ვერც ნორმალურ საბაზო ეკონომიკას ჩვენ ამ გზით ვერ მივაღწევთ. ნათელია, რომ თავიანთი მოქმედების სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს ეს ადამიანები მშვენივრად ხვდებიან, მაგრამ სწირავენ რა თავიანთ ინტერესებს ხალხის ინტერესებს, ისინი იბნევიან და ეძებენ შესაძლებლობებს, დარჩნენ ხელისუფლების სათავეში. მათ ცუდად აქვთ წარმოდგენილი, როგორ აფეთქებას უნდა ელოდნენ იმ საზოგადოებისაგან, რომელსაც თვით დაადგეს უნაგირი. და ყველა ეს ნახტომები ადრე თუ გვიან მაინც დამთავრდება გრანდიოზული ჩავარდნით, თვითონ კი დაიმარხებიან მათ მიერ საბოლოოდ დანგრეული ეკონომიკის და პირადი კეთილდღეობის, რომელიც მათ ხალხის ანგარიშზე მოიწყვეს, ნანგრევებში. აი, სწორედ მაშინ დადგება დრო საზოგადოების რადიკალური და ნამდვილი რეფორმაციისა, სადაც არც მათ და არც მათ შთამომავლობას ადგილი აღარ ექნებათ. და ჯერ კიდევ მიდის მგლური ნადირობა საკუთრებაზე, ფულზე და მიუხედავად ათასგვარი პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმებისა, ამ ყმაწვილებს შესანიშნავი მადა და კარგი, შესაფერისი გამონაყოფი აქვთ. იციან რა ეკონომიკის ნგრევის შესახებ, მათ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს დაუხვედრეს სუსტი პოლიტიკოსი, გამოიყენეს დაძაბული ეთნო-ნაციონალური დამოკიდებულებანი და საქართველოში მოაწყვეს ქაოსის სიტუაცია და სისხლიანი ტერორი. მშვენივრად გაითამაშა რუსეთის მთავარმა სადაზვერვო სამმართველომ (ГРУ) სამხრეთ ოსეთის რუქა და ამით დააყენეს გამსახურდიას ხელისუფლება დილემის წინაშე: ან ცნონ უკანონო ოსთა სახელმწიფო ან დაიწყოს ომი ოსებთან. ორივე შემთხვევაში გამსახურდია აგებდა. პირველ შემთხვევაში განარისხებდა ქართველ ეთნოსს, მეორე შემთხვევაში ჩაებმებოდა ომში ფაქტიურად რუსების წინააღმდეგ.

ერთდროულად მცირეოდენი ფულის დახმარებით კრემლმა შექმნა გამსახურდიას რეჟიმის საწინააღმდეგო შეიარაღებული ოპოზიცია. ასევე მისცა საშუალება ამ ოპოზიციას, ესარგებლა რუსეთისა და საზღვარგარეთის მასიური საინფორმაციო საშუალებებით. საქართველოს ეკონომიკა დაიყვანეს ნულამდე ქვეყნის ერთადერთი რკინიგზის გადაკეტვით და რუს მესაზღვრეთა ფოთისა და ბათუმის პორტებში კონტროლის გამკაცრებით. საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის 95% დამოკიდებული იყო რუსეთზე და მოწოდების შეწყვეტით ყველა საარსებო გზა მოჭრილი იქნა.

სპეციალურად დატოვა რა საქართველოში იარაღის მთები და გადასცა და მიჰყიდა ყველა მსურველს, ამით მთავარმა სადაზვერვო სამმართველომ (ГРУ) ქვეყანა დენთის საწყობად აქცია.

როდესაც მოსკოვმა სანქცია დაადო გამსახურდიასათვის ხელისუფლების გადაცემას, ერთდროულად ორგანიზება გაუკეთა და შეაიარაღა მის წინააღმდეგ ოპოზიციის ნაწილი, მან იცოდა, რასაც აკეთებდა. **ძნელი დასაჯერებელია, რომ ყოველივე ამის უკან არ იდგა თავის კოლეგებთან ერთად პოლიტბიუროს ყოფილი წევრი, სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი, მილიციის გენერალი ედუარდ შევარდნაძე.**

მეორე მხრივ, გამსახურდიას პირადმა თვისებებმა, მისმა გადაჭარბებულმა ამბიციურობამ, მოუთმენლობამ, სხვისი აზრის გაუზიარებლობამ, გადაჭარბებულმა შეხედულებამ საკუთარ პიროვნებაზე, აბსოლუტურმა არაპროფესიონალიზმმა ითამაშეს არანაკლები ნეგატიური როლი მომდევნო ამბებში.

შემოიკრიბა რა თავის გარშემო დილეტანტების მასა, ნახევრად სისხლის სამართლის დამნაშავენი და ნახევრად პარტიული მოღვაწენი, იგი პოლიტიკურ ვაკუუმში აღმოჩნდა. წამოაყენებდა რა საერთოდ სწორ ამოცანებს და მიზნებს, იგი საქმეს ავალებდა თავის გარშემომყოფთ. ესენი კი დამღუპველნი აღმოჩნდნენ მთელი მოძრაობისათვის.

ხაზინა თვალწინ დაუცარიელდათ. ყველა ეს აბსანძე, ომანიძე, დვალიშვილი და მასა სხვებისა, მშიერები, მაგრამ მოხერხებულნი, მომენტალურად მდიდრდებოდნენ. დატოვა რა პოსტზე გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე და დააყენა უშიშროების თავმჯდომარედ გენერალი ოთარ ხატიაშვილი, გამსახურდიამ მკვეთრად ჩამოიშორა ძველი რეჟიმის ბევრი მოწინააღმდეგე. მივიღეთ ანეგდოტური „ნაციონალ-ბოლშევიკური" ფენომენი. გამსახურდიას პოლიტიკურმა მოუთმენლობამ კი ბევრ მათგანს უბიძგა ხელისუფლების წინააღმდეგ პირდაპირი კონფრონტაციისაკენ. პრობლემას ართულებდა ისიც, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რესპუბლიკის პროკურატურა და სადაზვერვო სამსახური იმყოფებოდა საბჭოთა დაფინანსებაზე. ცნობილია, რომ ვინც იხდის, ის უკვეთს მუსიკასაც.

სამხედრო დაპირისპირების მიზეზი გახდა პუტჩი მოსკოვში. გამსახურდია მასში მონაწილეობაზე დაადანაშაულეს და სიგუა და კიტოვანი დაადგნენ ომის ბილიკს.

„მრგვალი მაგიდა" დაიშალა და ყოფილმა მეგობრებმა და თანამოაზრეებმა სისხლიანი „გარჩევები" დაიწყეს ურთიერთშორის. მმართველი კოალიციის დამხობით გათამამებულმა ოპოზიციამ გააძლიერა თავდასხმები გამსახურდიაზე, რამაც უფრო დაძაბა სიტუაცია.

თავი წამოყო „ინტელიგენციამაც", რომელნიც გამსახურდიას „საკენკთან" დაახლოებულმა პირებმა შეავიწროვეს. მათ თავიანთ ზურგზე იწვნიეს ცხოვრების სიძნელეები და ამიტომაც დაიწყეს მოწოდებები „ფაშისტური" რეჟიმის დამხობისაკენ.

1991 წლის დეკემბერში მოხდა „კვანძის გახსნა". გამსახურდიამ დატოვა რაკეტებით და არტილერიით დანგრეული თბილისი. იგი გაექცა არა აჯანყებულთა, არამედ „გრუ"-ს სპეცდაჯგუფებებს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სადაზვერვო განყოფილებას და თბილისში სპეციალურად ჩამოსული რუსეთის „ველიკოე ტრიო"-ს, რომელთაც თავიანთი „შაბაში" თბილისში დაიწყეს.

1990-1991 წლების „დიდებული რევოლუცია" დასრულდა უფრო „დიდებული კონტრრევოლუციით" (1991-92წწ).

საქართველო საბოლოოდ ჩავარდა ქაოსის უფსკრულში, ანარქია და უსამართლობა გაბატონდა. სპეცსამსახურების წიაღში ჩასახული გეგმის პირველი ნაწილი დასრულდა.

**ვლადიმერ ხვედელიძე**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# პარლამენტი აკანონებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დანაშაულებრივ საქმიანობას

# ღია წერილი

## საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო პრეზიდენტო! სამართალი ვერსად ვპოვე და ამიტომ მოგმართავთ თქვენ. განცხადებით მივმართე პარლამენტის თავმჯდომარეს, ბ-ნ ზ. ჟვანიას, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

28 წელია, ვმუშაობ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში, რომლის საპატიო მოვალეობას შეადგენს ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს წარსულის, თავგდასავლის შესწავლა. ჩემი კვლევა-ძიების სფერო გახლავთ საქართველო-სომხეთის ურთიერთობა უძველესი დროიდან დღემდე. 1978-1988 წლებში მოხერხდა ჩემი ოთხი წიგნის გამოქვეყნება, დაახლოებით იმავე ხანებში ჟურნალებშიც დავბეჭდე მრავალი წერილი. შემდეგ საქმე ამ მხრივაც გართულდა, წიგნის გამოცემაც ვერ შევძელი და ბოლო ხანებში იძულებული ვარ ძირითადად საგაზეთო წერილებით დავკმაყოფილდე. ნაშრომების გამოქვეყნებაზე მთლად ხელის აღებაც მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, რადგან ჩვენი სომეხი კოლეგები სომხეთშიც და მის ფარგლებს გარეთაც ბეჭდავენ ბევრ ისეთ წიგნს (ეჩმიაძინის საპატრიარქოს ფინანსური დახმარებითაც), რომლებშიც გაყალბებულია საქართველოს ისტორიის საკითხები. ამ ნაშრომებს ქართველმა მკვლევარებმა საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ, თუ ჩვენთვის ძვირფასია ილია ჭავჭავაძის სახელი, თუ ვთვლით თავს მოვალედ მცირეოდენი წვლილი მაინც შევიტანოთ დიდი ილიას ანდერძის აღსრულებაში. მან ხომ დაგვიტოვა სამაგალითო პუბლიცისტური ნაშრომი — „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი." ილიაც და ივანე ჯავახიშვილიც სომეხ ხალხს დიდ პატივს სცემდნენ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათთვის, ემხილებინათ საქართველოს ისტორიის გამყალბებლები.

ცხადია, საქართველო-სომხეთის ურთიერთობის კვლევის ერთ-ერთი ცენტრი უნდა იყოს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი, მით უმეტეს, რომ საქართველოში სხვაგან ამ საკითხებს ალაგ-ალაგ, იშვიათად თუ სწავლობენ. ისტორიის ინსტიტუტში კი ჩემს მეცნიერულ მუშაობაში ხშირად ხელს მიშლიდნენ, ხოლო ამჟამად მეცნიერებისაგან ჩემი მოკვეთაც განიზრახეს. ჩემი ღრმა რწმენით, ეს შედეგია იმისა, რომ 1970 წლიდან მოყოლებული დღემდე ისტორიის ინსტიტუტში არაჯანსაღი ვითარება სუფევს, რაც დღეისათვის დირექტორის, აკადემიკოს გ. მელიქიშვილისა (ნამდვილი გვარია ქსენოფონტოვი, დირექტორის მოადგილეც გვარგამოცვლილია, ისიც არაქართული გვარისაა) და ე. წ. სამეცნიერო საბჭოს დიდი ნაწილის დანაშაულებრივ საქმიანობაში გადაიზარდა. თუ ადრე რაღაც აკავებდათ, დღეს მთლად უთოფო ყაჩაღებად გადაიქცნენ. ივ. ჯავახიშვილიც რომ იყოს ცოცხალი, თუ დასჭირდებოდათ, მის შევიწროებასაც იკადრებდნენ მისსავე სახელობის ინსტიტუტში. ეს ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი. ლტოლვილმა პროფესორმა თ. მიბჩუანმა დაბეჭდა კიდეც იმის თაობაზე, რომ ისტორიის ინსტიტუტი ოდნავაც ვერ ასრულებს იმ მოვალეობას (წარსულზე დაყრდნობით დღევანდელობის გაგება), რომელიც მას ეკისრება საქართველოს კიდევ ერთხელ მკვდრეთით აღდგომის გზაზე. ვერც შეასრულებს, სანამ არ მოხდება ამ ინსტიტუტის, მისი მუშაობის მკვეთრად გაჯანსაღება.

დავით აღმაშენებლის მემატიანე აღნიშნავს, რომ თურქსელჩუკთა. საშინელი ბატონობის ვითარებაში საქართველოში „წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს და ულირსთა და უწესოთა... დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა უსჯულოებასა აწურთიდეს მათ ქუეშეთა ყოველთა და თვით სახლით უფლისათ და მღვდელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა." თავისუფლად შეიძლება ეს ითქვას დღევანდელი ისტორიის ინსტიტუტის დირექტორზე და ე. წ. სამეცნიერო საბჭოს დიდ ნაწილზეც. მათთვის ეროვნული სამეცნიერო დაწესებულების მინდობა იმას ჰგავს, მგელს სამწყემსავად ცხვრის ფარა რომ მიანდო. ამ დროს ერევნის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ა. მელქონიანი წერს წიგნს ჯავახეთის ისტორიის შესახებ. გ. მელიქიშვილი 33 წელია დირექტორია, გაუტკბა სავარძელი და თანამშრომელთა ბედს ისე სწყვეტს, როგორც მოეპრიანება. ცხადია, დიდი იმედი აქვს საკუთარი სამეცნიერო საბჭოს უმრავლესობის მხარდაჭერისა. არა მგონია, რომელიმე ნორმალურ ქვეყანაში ერთი პიროვნება 33 წელიწადს იყოს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი. მით უმეტეს, გ. მელიქიშვილს საამისოდ არც ჯანმრთელობა და არც ასაკი (80 წლის გახლავთ) ხელს არ უწყობს. გ. მელიქიშვილი ერეკლე მეორე ხომ არაა, მაინცდამაინც 54 წელიწადს რომ იმეფოს? რაც მთავარია, გ. მელიქიშვილი და მისი ამქარი პატრიოტები არ არიან. მათ არ ტკივათ საქართველოს ტკივილები, პატრიოტობა არ ჩანს არც მათ ნაწერებში, არც მათ საქციელში. პატრიოტები რომ ყოფილიყვნენ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტს დღეს გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლებოდა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. აქედან გამომდინარე, ისინი საქართველოსაც გაყიდიან, თუ დასჭირდათ.

ბ-ნი კ. ბუაჩიძე წერს ერთგან გამომძიებელ მარკაროვზე თუ მარქაროვზე: „ეს ის ჩეკისტია, სუფრაზე გინდ ქათმის თავი დაუდე, გინდ კაცის, მით უმეტეს ქართველის, — შეჭამს!" ეს სიტყვებიც შეიძლება მივუსადაგოთ გ. მელიქიშვილსა და მის ამქარს. ამ წელიწადნახევრის წინ ჩატარდა გ. მელიქიშვილის ხელახალი ვადით არჩევნები. მე მაშინ ვთქვი, რომ ჯანმრთელობა ხელს აღარ უწყობს ბ-ნ მელიქიშვილს, იკმაროს 31 წლიანი დირექტორობა და სავარძელი უფრო უნარიან ხელმძღვანელს დაუთმოს-თქო. ეტყობა, მან ეს გულში ჩაიდო და ის და მისი ამქარი სამაგიეროს მიხდის.

1991 წლიდან მოყოლებული მეცნიერები საშინელ დღეში ჩაცვივდნენ. დღესაც მეცნიერებათა დოქტორის ხელფასია 50 ლარი. მეცნიერი ვერ იმუშავებს წიგნებისა და ჟურნალების გარეშე. ბიბლიოთეკები ბევრ რაიმეს ვეღარ იღებენ. მე პირადად მჭირდება სომხური წიგნები და ჟურნალებიც. ბიბლიოთეკებში ისინი საერთოდ აღარ შემოდის. თბილისშიც შეიძლება მათი ერთი ნაწილის შეძენა, მაგრამ ძალიან ძვირი ღირს. 50 ლარი მარტო ამ საქმისთვისაა საჭირო. როგორ იცხოვროს და იმუშაოს ქართველმა არმენოლოგმა? საქართველოსთვის რომ ასეთი სპეციალობის არსებობა აუცილებელია (თუმცა ახალი კადრების, კერძოდ, ისტორიკოს-არმენოლოგების მოსამზადებლად თითქმის არაფერი კეთდება), ამის უარყოფას ვერავინ შეძლებს. მხოლოდ სომეხი კოლეგების აზრების ათვისებით ფონს ვერ გავალთ.

სახელმწიფომ იზრუნა მეცნიერების გადასარჩენად, გამოყო გრანტები (ისტორიის ინსტიტუტში გრანტი შეადგენს თვეში 70-90 ლარს). მაგრამ ვის მიანდეს გრანტების განაწილება? ყოველ შემთხვევაში, ისტორიის ინსტიტუტში არაკეთილსინდისიერ ხალხს, — დირექტორს და მის ამქარს. მათ არ დამიმტკიცეს ორწლიანი თემის — „ჯავახეთი ძვ. წ. II საუკუნიდან დღემდე" — მეორე ნაწილი და იძულებული გამხადეს შემეწყვიტა მუშაობა შუა გზაზე. მიზეზს არ იკითხავთ? — სამეცნიერო საბჭოს ფარული კენჭისყრის შედეგები. ე.წ. სამეცნიერო საბჭოს დიდმა ნაწილმა წინასწარ დაწერა სცენარი, რომელი თემა უნდა ჩაეგდოთ. ჩემს თემას ცხრა შავი კენჭი ჩაუგდეს. წინასწარ იცოდნენ, რომ ეს საკმარისი იყო ჩემი თემის გასაშავებლად, თორემ 15 შავი კენჭიც რომ დასჭირვებოდათ, ამასაც მოახერხებდნენ. ცნობილია, რომ დღეს ჯავახეთში მძიმე მდგომარეობაა. იქ ცხოვრობს დაახლ. 3 პროცენტი ქართველი, დაახლ. 95 პროცენტი — სომეხი. ახალქალაქში საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგო სომხური გაზეთიც („ჯავახქ") კი გამოდის. ისტორიკოს-არმენოლოგმა არ უნდა იკვლიოს, როგორ და რატომ მოხდა ყოველივე ეს შოთა რუსთაველის მშობლიურ მხარეში? 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლებამ ქვემო ქართლის ნაწილი, ძირძველი ქართული მიწა-წყალი, ლორე-ტაშირი ჩამოართვა საქართველოს და უბოძა სომხეთს. დღეს საქართველოში ამის შესახებ თითო-ოროლა კაცმა თუ იცის. ლორე-ტაშირის ქართველთაგან დაცლა გამოიწვია იმან, რომ დღეს იქ არც ერთი ქართველი აღარ ცხოვრობს. ვინც ჟამთა სიავეს გაუძლო, ის XIX-XX სს-ში ან გაასომხეს, ან აიძულეს გამოქცეულიყვნენ ლორე-ტაშირიდან. თუ ასე გაგრძელდა, განა ჯავახეთში შემორჩებიან ქართველები 10-20 წლის შემდეგ? ამიტომ დავივიწყოთ ვარძიაც, ჯავახეთიც? მაშინ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დავიწყებაში რაღა შეგვიშლის ხელს?




ისტორიის ინსტიტუტში 1998 წელს გრანტი მისცეს 83 თანამშრომელს. თუ საქართველოში დღეს ოდნავ მაინც არსებობს კანონიერება და ზნეობა, არ უნდა განმიმარტონ დამაჯერებლად, რომ ამ 83 თანამშრომელს ჩემზე უკეთესი ნაშრომები აქვთ გამოქვეყნებული ან საერთოდ შეუძლიათ უკეთესი ნაშრომების შექმნა? მაგრამ უბედურება ის არის, ამ 83-ს შორის რომ მოხვდე, არსად არ უნდა წამოგცდეს (კედლებსაც აქვთ ყური), ისტორიის ინსტიტუტისა და მისი ოფიციალური თუ არაოფიციალური თავკაცების საქმიანობაში ნაკლი აშკარად რომ ჩანს. ამასთან, უფროსების გულიც უნდა მოინადირო.

დირექტორის გარდა პირადად მე ინსტიტუტის ორი თანამშრომელი (განყოფილების გამგეები) დამიპირისპირდა. 1981 წლამდე ვმუშაობდი საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში. განყოფილების ხელმძღვანელი, აწ განსვენებული ბ-ნი კ. განსაკუთრებით მფარველობდა ქ-ნ გ. ალასანიას, ახლანდელ გამგეს ხსენებული განყოფილებისა. მე რატომღაც მათთვის არასასურველ პიროვნებად ჩამთვალეს და მაიძულეს სხვა განყოფილებაში გადავსულიყავი. დირექტორი გ. მელიქიშვილი სრულებითაც არ დაინტერესებულა ამ ამბით; ჩათვალა, რომ მისი სავარძლისათვის წაყრუების პოლიტიკა აჯობებდა. გ. ალასანიას ვაჟი დღეს დიდი კაცია. დედაც სარგებლობს ამით და ისტორიის ინსტიტუტის გრანტებზე ნადირობს. დირექტორსაც ასეთი ხალხი სჭირდება. ორიოდე წლის წინ იმ განყოფილების ხელმძღვანელად, რომელშიც მე ვმუშაობდი 1981 წლიდან, გ. მელიქიშვილმა დანიშნა 79 წლის ქალბატონი ც. კალანდაძე, რომელსაც მეცნიერებაში თავი არაფრით გამოუჩენია. მე დავასკვენი, რომ ამ განყოფილებაში მეცნიერული მუშაობა ჩაკვდებოდა და გადავწყვიტე კვლავ გადავსულიყავი სხვა განყოფილებაში. გ. მელიქიშვილი არც ამჯერად დაინტერესდა მიზეზით. ოფიციალურად, კრებაზე რომ დავუსვი შეკითხვა, რატომ გაიმეტა ხსენებული განყოფილება დასაღუპად, დამაჯერებელი პასუხიც ვერ გამცა, დემაგოგობაც იკადრა. ქ-ნ ც. კალანდაძეს დისშვილი ჰყავს დიდი კაცი და ისიც სარგებლობს ამით. მე კი, თუ შემთხვევა მიეცემა, წყევლა-კრულვასაც არ მაკლებს. მაგრამ ეს აღარ მაკმარეს, გ. მელიქიშვილმა, გ. ალასანიამ, ც. კალანდაძემ ექვსი კაციც გადაიბირეს და ასე ჩამიგდეს თემა. ასე რომ, გრანტების სისტემამ ისტორიის ინსტიტუტის თავკაცების დიდი ნაწილის კიდევ უფრო მეტად გარყვნას შეუწყო ხელი. გრანტი თავიანთი დუქნის შემოსავლად მიიჩნიეს.

დაახლოებით წელიწადნახევრის წინათ თბილისში მოღვაწე ერთმა არაქართველმა შემომთავაზა — თავი დაანებე საქართველო-სომხეთის ურთიერთობის შესახებ წერილების ბეჭდვას და ჩვენ გადაგიხდითო თვეში 1000 დოლარს. 1997 წ. ოქტომბერში ერევანში ვიყავი ორი კვირით. იქაური საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი და თანამშრომლებიც ცუდად მექცეოდნენ — გავიგეთ, სომხეთის საზიანო წერილებს წერსო. მე დავუსახელე ჩემი ერთი წერილი, რომელიც ეხებოდა ს. მამულოვის წიგნს — საქართველოს ინტერესების აშკარად შემლახველს. დირექტორმა ბრძანა: მშვენიერი წიგნია, შენ განა ეჭვი გეპარება, რომ თბილისი სომხების აშენებულიაო? აღარ განვაგრძობ ჩვენი კამათის შინაარსის გადმოცემას. მან სანიმუშოდ დამისახა ქართველი მეცნიერი, რომელიც არ იჩენს ინტერესს ახალი ისტორიისადმი. აქ ქვეტექსტიც ჩანდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ისიც მითხრეს, საქართველოში სომხეთის ელჩმა გვისაყვედურაო — რატომ იბეჭდება თქვენში წერილები საქართველო-სომხეთის ურთიერთობაზეო. ავწონოთ, სად მეტი იბეჭდება. მიჩნდება ეჭვი, რომ ამ წრის საქმიანობის შედეგადაც ჩამიგდეს თემა. ისტორიის ინსტიტუტში ნოყიერ ნიადაგს ვერ იპოვნიდნენ? მაგრამ საქართველოს პარლამენტი, შესაბამისი კომიტეტი მაინც სერიოზულად არ უნდა მოკიდებოდა ამ საკითხს? გამოდის, რომ იგი აკანონებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დანაშაულებრივ საქმიანობას.

ბატონო პრეზიდენტო! ბოლოს და ბოლოს იქნებ ვინმემ დამაჯერებლად, ობიექტურად განმიმარტოს რა ხდება, ეს ქვეყანა მართლა მთლად ჩალით ხომ არ არის დახურული?

**ალექსანდრე აბდალაძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**

დასასრული. დასაწყისი „საქართველო" №29

# «საერთაშორისო სავალუტო ფონდი, იგი ერთადერთ პრობლემას ბადებს»

## უილიამ ენგდალი

### პოლიტიკის ფუნდამენტალური შეცვლა

ფონდმა განაგრძო ფუნქციონირება, როგორც უკიდურესი გაჭირვებისას სესხის მომცემმა „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის" წევრ-სახელმწიფოებისათვის, ვიდრე 1977 წელს უკანასკნელი ამგვარი სესხი არ აიღო იტალიამ. მას შემდეგ ფონდს აღარ მიუცია სესხი ამ ორგანიზაციის რომელიმე დიდი ინდუსტრიული წევრი-ქვეყნისთვის. ამ დროს, რომელიც მოჰყვა ბრიტანეთის მიერ ხელშეწყობილი სანავთობო კრიზისით 1970-იან წლებში გამოწვეულ შოკს, აშშ-სა და სხვა წევრების მხრიდან გონივრული გადაწყვეტილება იქნებოდა ფონდის „პატივით დაკრძალვა" ანუ ამ ინსტიტუტის დაშლა, როგორც მსოფლიოს ეკონომიკისათვის საჭიროების ალარმქონისა.

მაგრამ გარკვეულ გავლენიან პირებს ამ ფონდთან დაკავშირებით სხვა ჰქონდათ აზრად.

1970-იანი წლების ნავთობის შოკის შემდეგ განვითარებადი სექტორის ქვეყნებს, ისევე როგორც პოლონეთს და ვარშავის პაქტის ზოგ სხვა ქვეყნებს, დაწყებული ჰქონდათ უზარმაზარი თანხების სესხება ლონდონში დაბინავებული ევროდოლარის ბანკებისაგან. სესხთა მიზანი იყო საგადამხდელო ბალანსის პრობლემათა გადაჭრის დაფინანსება, რომლებიც ამ ქვეყნებს გაუჩნდათ იმპორტული ნავთობის ფასების თვითნებური 400%-იანი აწევის შედეგად.

ლონდონის ევროდოლარის ბანკებმა, იცოდნენ რა ის მკაცრი პირობები, რასაც მსოფლიო სავალუტო ფონდი უყენებდა საგანგებო მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნაში სესხის მთხოვნელ ქვეყნებს, ამ ქვეყნებს შესთავაზეს გულუხვი კერძო სესხები საზღვარგარეთისთვის განკუთვნილ (ოფ-შორ) ევროდოლარის ბაზრიდან. ლონდონში განლაგებული ეს ბაზარი წარმოდგებოდა იმისაგან, რასაც პრეზიდენტ ნიქსონის სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი „ნავთობდოლარების რეციკლირებას" („ხელახლა დატრიალებას") უწყობდა. ეს იყო დოლარების უზარმაზარი ქარიშხალი, რომელიც „ნავთობის მაექსპორტირებელ რეციკლირებას („ხელახლა დატრიალებას") უწოდებდა. ეს იყო დოლარების უზარმაზარი ქარიშხალი, რომელიც „ნავთობის გამტანი ქვეყნების ორგანიზაციის" სახელმწიფოებს შესდიოდათ ნავთობის შოკის შედეგად. ცინიკოსი ბანკები ნავთობის გამტანთა დეპოზიტებიდან აღებულ სესხს კვლავ ასესხებდნენ ამ შოკის მსხვერპლთ, რომლებიც დაზარალდნენ ფასების 400%-იანი ახტომის შედეგად, რის ორგანიზაციაშიც თვით კისინჯერის ხელი ერია თავის დროზე. ამავე ბანკირებთან ერთად სიტი ბანკის თავმჯდომარემ უოლტერ რისტონმა სამხრეთ-ამერიკული მთავრობებისადმი უზარმაზარი სესხის მიცემა გაამართლა სიტყვებით: „კომპანიები შეიძლება გაკოტრდნენ, მთავრობები-არა".

„ნავთობდოლარების" სესხთა პირობები შეიცავდა ფეთქებად ფრაზას: „სესხზე სარგებელი „მცურავი" იქნება იმისდა მიხედვით, თუ როგორი იქნება პროცენტი „ლონდონის ინტერბანკის შემოთავაზებული პროცენტის" (ლიბორ-LIBOR) ბაზარზე. ბრიტანეთის პრემიერმინისტრის მარგარეტ ტეტჩერის დროს 1979 წლის ივნისში მომხდარი სარგებლის საპროცენტო შოკამდე, რომელსაც ოთხი თვის თავზე მოჰყვა ფედერალური რეზერვის თავმჯდომარის პოლ ფოლკერისეული ავარდნა პროცენტისა შეერთებულ შტატებში, ლონდონის სესხთა პროცენტი განიხილებოდა, როგორც „გარიგება". 1979 წლის ბოლოსთვის „ლიბორის" პროცენტი „მესამე მსოფლიოს ევროდოლარის" სესხებზე ამხტარი იყო თითქმის 300%-ით რამდენიმე კვირის მანძილზე. მესამე მსოფლიოს „ვალთა ბომბის" პატრუქს უკვე ცეცხლი ჰქონდა მოკიდებული.

### საერთაშორისო სავალუტო ფონდი — ვალთა პოლიციელი

ეს „ვალთა ბომბი" რომ აფეთქდა 1982 წლის აგვისტოში, როგორც ნაწინასწარმეტყველები იყო ლ. ლარუშის მიერ, და მეხიკომ განუცხადა ვაშინგტონს, რომ ვერ უხდის დოლარებში აღებული სესხის უახლოეს საპროცენტო გადასახადს ნიუ-იორკის ბანკებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ომისშემდგომი რეკონსტრუქციის პერიოდის რელიქტიდან უცებ გადაიქცა ველური ასკეტიზმისა და ცხოვრების დონის ძალდატანებითი შემცირების მაიძულებელ სააგენტოდ.

მექსიკის 1982 წლის ამ ნაბიჯის და მისი მომყოლი მსოფლიო ბანკის კრიზისის პასუხად ლონდონისა და ნიუ-იორკის ბანკებმა მოახდინეს ერთობლივი ძალისხმევა, რომ მოვალე ქვეყნები ეიძულებინათ, ვალი



გადაეხადათ ვალის მომსახურების ფაქტობრივად უკანონო დონეზე, იმაზე ბევრად უფრო დიდი თანხების სახით, ვიდრე ამ ქვეყნებს ოდესმე შეიძლება წარმოედგინათ. პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციის, პოლ ფოლკერის ფედერალური რეზერვების ბანკის და ნიუ-იორკის კრედიტორი ბანკების დაჟინებითი მოთხოვნით საერთაშორისო სავალუტო ფონდმა შეიმუშავა მკაცრ „პირობათა" პროგრამა, რომელიც ფონდს უნდა თავს მოეხვია მესამე მსოფლიოს დებიტორი ქვეყნებისათვის.

ეს „პირობები" შეიმუშავა ფონდის მოხელემ ირვინგ ფრიდმანმა. 1988 წლის დამლევს მან ინტერვიუში თქვა: „ჩემი განზრახვა იყო, რომ ფონდის რესურსთა მოხმარება ჩვენ გამოგვეყენებინა, როგორც ერთგვარი მოსაზიდი საშუალება. ამ ქვეყნების მიმართ. ჯერ სერიოზულად სწავლობთ ქვეყნის ეკონომიკურ ვითარებას. განსაზღვრავთ, რომელია მისი სიძნელეების წყარო, მიუთითებთ რა და რაა შესაცვლელი".

ფონდის ფორმულა მუდამ ერთი და იგივე იყო. მოვალე ქვეყანას აიძულებდნენ შეემცირებინა იმპორტი, მკაცრად დაედაბლებინა თავისი ეროვნული ვალუტა (რაც უზრუნველყოფდა მისი დოლარზე დენომინირებული ვალის მრავალკეცად გაზრდას), დრაკონული შემცირების განხორციელებას სამთავრობო სუბსიდიებში საკვებისა და სხვა აუცილებელი საგნებისათვის. ამავე დროს კი თავისი ეროვნული ეკონომიკის. სასიცოცხლოდ საჭირო დარგთა კარები მას ფართოდ უნდა გაეღო უცხოელთა მიერ იაფად ხელთგდებისათვის, რასაც ფონდი გამართლებას აძლევდა, როგორც „თავისუფალი ბაზრისკენ მიმართულ რეფორმებს".

1982 წლის აქეთ ფონდის „სტრუქტურული მორიგების პროგრამები", როგორც იგი მათ უწოდებდა, კომერციული ბანკებისთვის ქცეულია იმის წინაპირობად, რომ „სესხის რესტრუქტურიზაციის შეთანხმებებში" შევიდნენ კერძო ბანკებსა და მოვალე ქვეყანას შორის.

მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აიძულა მექსიკა შეემცირებინა სამთავრობო ხარჯები, მოეხსნა სამთავრობო სუბსიდიები საკვებზე და ზოგ სხვა რამეზე, მოეხდინა პესოს დევალვაცია დოლარის მიმართ 12-დან, რაც იყო 1982 წელს, დაუჯერებელ 3300-მდე, სანამ 1993 წელს არ შემოიღეს „ახალი" პესო. წამლების, სამრეწველო საქონლის და ზოგი სხვა რამის იმპორტი შეწყდა, ადამიანები განუკითხავად კვდებოდნენ, კრედიტორი ბანკი კი ვალის აკრებას ახდენდა.

ლონდონური ევროდოლარის ბანკები, რომლებიც „კრედიტორთა კარტელად" იყვნენ ორგანიზებულნი (მათ ეწოდათ „ლიჩლის ჯგუფი" ლონდონის გარეთ ლიჩლის პარკში შეკრების გამო) მოწიწებით ლაპარაკობდნენ „პასუხისმგებლობის გრძნობაზე" და ვალების პატივისცემაზე და ამავე დროს იმუქრებოდნენ, რომ ვალის არგადამხდელი ვერასოდეს მიიღებს უცხოური სესხის ერთ პენსსაც კი. ეს იყო ფუჭი მუქარა, რომელიც, მიუხედავად ამისა, მაინც დიდ ზეგავლენას ახდენდა.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 1980 წელს მთელი საგარეო ვალი, კერძოსა და სახელმწიფო ვალის სახით, რომელიც არანაკლებ ერთი წლის ხანდაზმულობას აღწევდა, 109 განვითარებადი ქვეყნისთვის შეადგენდა 430 მილიარდ დოლარს. 1980 წლის აქეთ ამ ქვეყნებმა შთამბეჭდავი თანხა გადაუხადეს კრედიტორებს. სარგებლის პროცენტის გადახდამ 1980-დან 1986 წლამდე შეადგინა კიდევ 332 მილიარდი. ამგვარად, ჯამში, ამ 109 ქვეყანამ გადაიხადა ამ წლებს შორის 658 მილიარდი დოლარი თავისი თავდაპირველი 430 მილიარდიანი ვალის გამო, მაგრამ მთელი საგარეო ვალი, მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდის მონაცემებით, 1986 წელს იყო 882 მილიარდი! სქემა იყო „სავალუტო ფონდის" ბანკირთა მარტივი არითმეტიკა: რაც მეტს იხდით, მით მეტი გმართებთ, მცურავსარგებლიანი ვალის და სავალუტო ფონდის პირობათა წყალობით.

იხდით, მით მეტი გმართებთ, მცურავსარგებლიანი ვალის და

გაგრძელება მე-7 გვერდზე

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" №27,28,29

ქართული ემიგრაცია

# საქართველოს სახელმწიფოს ამოცანები საერთაშორისო სამართლის შუქზე

განვიხილოთ მეორე პუნქტი. ოკუპირებული საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია ბოლშევიკების მიერ შეერთებული აღმოჩნდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს. რაც შეეხება ამ ტერიტორიის შეერთების სამართლებრივ მხარეს ახალ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნთან, ამის შესახებ ქვემოთ ვილაპარაკებთ. აქ კი აღვნიშნავთ: ეს სრული ოკუპაციაც კი არ არის იმ მიზეზის გამო, რომ დარჩენილია მთელი ტერიტორიები, მაგალითად, სვანეთი და ხევსურეთი, სადაც ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს გაევრცელებინათ თავიანთი ხელისუფლება და იძულებულები შეიქმნენ დაეტოვებინათ იქაურობა. ახლა ამ ადგილებში ძალაუფლება ადგილობრივი აჯანყებულების ხელთაა. ეს ხელისუფლება ძირითადად ყოფილი ქართული არმიის წევრთაგან შედგება. სვანეთთან რუსეთმა ზავიც კი დადო იარაღის გამოუყენებლობის თაობაზე. ქვეყნის ამ ნაწილებში მტრის ოკუპაციას მხოლოდ გარდამავალი ხასიათი ჰქონდა, რაც მნიშვნელოვანწილად წითელი არმიის საჰაერო ნაწილების დახმარებით შეძლეს. ეს არგუმენტები იმის თქმის საშუალებას გვაძლევენ, რომ სახელმწიფოებრიობის ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიცაა ტერიტორია, დაკარგული არ არის.

რაც შეეხება სახელმწიფოებრიობის პირველ შემადგენელ ელემენტს, სახელდობრ, მოსახლეობას, ადვილი დასადგენია ის, რომ საქართველოს მოსახლეობა არსად არ წასულა და ადგილზე დარჩა.

თუ მივუბრუნდებით ლენინის ზემოთ ნახსენებ ინსტრუქციას XI არმიისადმი, დავინახავთ, რომ ლენინმა დაინახა რა ქართველი ხალხის მტრული დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი, შეეცადა ქართველ სოციალისტებთან ერთიანი ბლოკის შექმნა; მაგრამ ეს უკანასკნელნი იმდენად იყვნენ განწყობილნი ეროვნულად და პატრიოტულად, რომ არასოდეს ვერაფერი ამის მსგავსიც კი ვერ მოხერხდებოდა. საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ მთავრობა, რომელიც ემიგრაციაში იმყოფებოდა, სწორედ ამ სოციალისტური პარტიიდან იყო წარმოქმნილი. როდესაც მათთან ერთიანი ბლოკის შექმნა ვერ მოხერხდა, მოსკოვმა საქართველოს თავს კომუნისტური მთავრობა მოახვია.

დაასრულეს რა საქართველოს ოკუპაცია, ბოლშევიკები ვერ იტანდნენ მის სუვერენიტეტს. დანიშნული კომუნისტური მთავრობა, რომელიც მოსკოვის დამჯერე იყო, თავდაპირველად შეეცადა შეექმნა კავკასიის რესპუბლიკათა კავშირი, ხოლო შემდეგ კი საქართველო შეიყვანეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. ამ ცვლილებებში ქართველი ხალხი მონაწილეობას არ იღებდა და პასიურ მდგომარეობას ინარჩუნებდა. ყველა საჭირო არჩევნები კი ტარდებოდა წითელი არმიის ჯარისკაცთა და აგრეთვე ქართველი კომუნისტების დახმარებითა და მონაწილეობით; იმ პერიოდისათვის ქართველ კომუნისტთა პარტია თავის რიგებში მხოლოდ 723 წევრს ითვლიდა.



ჟურნალი „ამირანი", რომელსაც 20-იან წლებში ვარშავაში ქართველთა საზოგადოება გამოსცემდა. ამ საზოგადოების თავმჯდომარე იყო ალექსანდრე გოძიაშვილი

თუ პოლონეთის ისტორიასთან გავაკეთებთ ანალოგიას და სსრკ-ს წარმოქმნას შევადარებთ 1815 წელს ვენის კონგრესის საფუძველზე საკონგრესო სამეფოს წარმოქმნას ან ასევე პოლონეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებას 1916 წელს, როდესაც საზოგადოება სახელმწიფოს წარმოქმნაში მონაწილეობას არ იღებდა, შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ხალხის ნებისა და სურვილის გარეშე, რომელიც ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფოს წარმოქმნისათვის, მხოლოდ გარედან იძულებითი წესით, სახელმწიფოს წარმოშობა შეუძლებელია.

ზევით აღვნიშნეთ, რომ მოსკოვი, რომელიც ვერ იტანდა საქართველოს სუვერენიტეტს, რომელიც აღიარებული იყო საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ, მაინც ცდილობდა თავისი მოქმედებებისათვის სამართლებრივი ფორმა მიეცა. აქ მოვიტანთ რამდენიმე კომუნისტურ ოფიციალურ დოკუმენტს, რომლებიც გარკვეულ შუქს ჰფენენ საქართველოში საოკუპაციო ხელისუფლების მოქმედებას. ამ დოკუმენტებში საუბარია საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალურად და საბოლოოდ გაუქმებაზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ე. წ. ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის, როგორც ავტონომიური ერთეულის, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში შეყვანაზე. ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ, ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების, თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მონაწილეობის გარეშე; ეს გადაწყვეტილება, როგორც ბრძანება, ისე გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს შესასრულებლად. ამ ახალ „კავშირში" ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა დაკარგეს თავიანთი დამოუკიდებლობა, მხოლოდ საოლქო ავტონომია შეინარჩუნეს. ისინი გაერთიანებულნი არიან ამიერკავკასიის ფედერაციაში, რომელიც თავის მხრივ, გაერთიანებული რუსეთთან, უკრაინასთან და ბელორუსიასთან წარმოადგენს კავშირის შემადგენელ ნაწილს. კავშირი იღებს მონაწილეობას ყველა საკითხების გადაწყვეტაში, იქნება ეს საერთაშორისო ურთიერთობის, ფინანსების, თავდაცვის, ეკონომიკური, რკინიგზის, კავშირგაბმულობის, თუ სხვა. კავშირის წევრთა მონაწილეობა სამართლებრივ, თუ ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოებში ხდება პროპორციული წესით თითოეული რესპუბლიკის მოსახლეობისდა მიხედვით, რაც პრაქტიკაში აღნიშნავს, რომ მცირერიცხოვანი ერების მნიშვნელობა შეზღუდული იქნება, თითქმის მინიმუმამდე. ასეთი ერების წარმომადგენლობა საკავშირო ორგანოებში წარმოადგენს ფიქციას, რომელიც აძლევს რუსეთს საშუალებას საკუთარი ნება-სურვილის გატარებისა. მოსკოვის ეს გადაწყვეტილება, რომელიც ფორმულირებული იყო რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, სტალინის მიერ, გახდა კამათის საგანი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე 1922 წლის 15 სექტემბერს. ვაქვეყნებთ ამ სხდომის ოქმის ჩანაწერის ფრაგმენტს:

„განსახილველი საკითხი:

სტალინის თეზა ამიერკავკასიის რესპუბლიკების გარდაქმნისა ავტონომიურ ერთეულებად.

გადაწყვეტილება: წინადადება, რომელსაც საფუძვლად უდევს სტალინის პროექტი, და ეხება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს ავტონომიის პრინციპებზე, მიჩნეულია შეუფერებლად. საჭიროდ მიგვაჩნია სამეურნეო და საერთო პოლიტიკის სფეროში გაერთიანება დამოუკიდებელი ხასიათის შენარჩუნებით".

არადა საქართველოს კომუნისტი ლიდერე

გაგრძელება მე-8 გვერდზე

**უილიამ ენგდალი**

# «საერთაშორისო სავალუტო ფონდი, იგი ერთადერთ პრობლემას ბადებს»

სავალუტო ფონდის პირობათა წყალობით.

ბანკთა სქემების გადასინჯვამ 1982 წლის აქეთ ასობით მილიარდი დოლარის ვალები დაუმატა იმის ვალთა სრულ თანხას, რასაც „მესამე მსოფლიო" ან, უფრო ულმობელად — „ნაკლებ განვითარებული მოვალე ქვეყნები" ეწოდება. შინაურ ეკონომიაზე ფონდის კონტროლის პირობებში ბანკები მხოლოდ იმდენს იძლეოდნენ სესხად, რომ მოვალეს ვალის სარგებლის მომსახურება შესძლებოდა. აშშ კანონით, სანამ სარგებელზე გადახდა მიმდინარეა, „ბანკებს შეუძლიათ ვალის მთელი ოდენობა გამოაცხადონ როგორც მათ ანგარიშზე არსებული თანხა. ახალი სესხების უფლების მოპოვების მიზნით, თუნდაც მათ ერთი პენიც არ მიიღონ ძირითად თანხაზე.

1988 წლის აქეთ მესამე სამყაროს მოვალე ქვეყნებზე არ გაცემულა არც ერთი ახალი პირდაპირი საბანკო სესხი, სანამ 1990-იანი წლების დამდეგს არ დაიწყო ახალი ფაზა. მაგრამ ამ 109 ქვეყნის საგარეო ვალმა 1994 წლისთვის შეადგინა 1,6 ტრილიონი დოლარი, რაც 1980 წელთან შედარებით 1,2 ტრილიონით მეტია.

### გლობალიზაციის იარაღი

სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის როლმა საყურადღებო ცვლილება განიცადა 1985 წლის ოქტომბერში, როცა აშშ ხაზინის მდივანმა ჯეიმს ბეიკერ III-მ ვაშინგტონში მოიწვია ჩეის მენჰეტენის, სიტიკორპის და ქვეყნის სხვა დიდი საერთაშორისო ბანკები ფედერალურ რეზერვთა თავმჯდომარესთან ფოლკერთან ერთად. მათ შეიმუშავეს სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ფონდთა და მათი მძლავრი ინსტანციური ზეწოლის უნარის კოორდინირებულად გამოყენების სტრატეგია არა ვალთა აკრეფის ორგანიზაციისათვის, არამედ მოვალე „მესამე მსოფლიოს" ქვეყნებისათვის ბაზრის ლიბერალიზაციის, სახელმწიფო ინდუსტრიის პრივატიზაციის და სხვა ზომათა თავს მოხვევის მიზნით, რასაც დღეს „გლობალიზაციის" სახელით აღნიშნავენ.

1980-იან წლებში მსოფლიო ბანკი გადაკეთდა ინდუსტრიული გლობალიზაციის იარაღად. მესამე მსოფლიოს მრავალმა მთავრობამ და მათმა სამოქალაქო მოსამსახურეებმა მსოფლიო ბანკში სუსტი პროტესტი გამოთქვა, ბანკი იაფი მუშახელის ბაზარზე მრავალნაციონალური კომპანიების შეღწევისთვის ულმობელ იარაღად იქცევაო.

1993 წლის 27 IX მიშელ კამდესიუმ სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ შეკრებაზე გულთბილად აქო გლობალიზაციის პროცესი, რომელიც იმ დროს ინტენსიურად მიმდინარეობდა, „ამ საუკუნის ბოლო ათწლეულთა ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა გლობალიზაციის ფენომენი, რომელიც ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებას გარდაქმნისო".

მსოფლიო ბანკის კრედიტებმა შეიცვალა მიმართულება. მათ ზურგი აქციეს მანამდე შემოღებულ დახმარების განვითარებადი ქვეყნებისადმი მათი ინფრასტრუქტურის მშენებლობაში, როგორიცაა ჰიდროტექნიკური კაშხლები და ელსადგურები, და მიმართულ იქნა, როგორც წამახალისებელი გრანტები, გლობალიზაციის სტიმულირებისაკენ და განვითარებადი ეკონომიების კარის გახსნისაკენ დიდი მრავალნაციონალური კომპანიებისათვის.

ვალუტის კონვერტირების ახალი ლიბერალური წესები, რომელთაც თავს ახვევდნენ სხვა ქვეყნებს სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, იმას ნიშნავს, რომ უცხო მრავალეროვან კომპანიებს შეეძლოთ ქვეყნიდან მოგების ამოტუმბვა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ეს იყო კრიტიკული მახასიათებელი, რომელმაც საშუალება მისცა ჯორჯ სოროსის „ქვანტუმ ფონდს" და სხვა ფონდებს აზიაში სავალუტო კრიზისების სტიმულირებისა 1997 წლის მაისში.

სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი ახალი გლობალიზაციის იარაღი გახდნენ. ფონდის მიერ „მოწონება" გასული ათი წლის მანძილზე ვერ დაიმსახურა ვერც ერთმა მოვალე ქვეყანამ, თუ არ დასთანხმდა მისთვის ამერიკული და ევროპული მრავალნაციონალური ბანკების მიერ შემუშავებული ზომების გატარებას, სახელდობრ, ადგილობრივი ვალუტის მასობრივ დევალვაციას დოლარის მიმართ, შინაგანი ბაზრის გახსნას და სახელმწიფო ინდუსტრიის პირწმინდა პრივატიზაციას, თითქოსდა სახელმწიფო ბიუჯეტის შესაკვეცად.

სავალუტო ფონდის ახალმა პოლიტიკამ შექმნა ის, რასაც ბიბისის ჟურნალისტმა ჯეიმს მორგანმა ქებით უწოდა „ახალი კოლონიალიზმი": კოლონიალიზმი უსახელმწიფოო მსოფლიო ბანკებისა და მრავალნაციონალური კომპანიებისა სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მფარველობის ქვეშ, რაც ბევრად უფრო ეფექტიანია, ვიდრე ბრიტანეთის ან საფრანგეთის სახელმწიფოთა კოლონიალიზმი იყო გასულ საუკუნეში.



სავალუტო ფონდის მხრიდან ეკონომიკური ზეწოლის და კრედიტთა კვეცის შედეგად მთელი ათი წლის მანძილზე განვითარებადი ქვეყნები მიჩიხულნი აღმოჩნდნენ იმ მდგომარეობაში, როცა ისინი მსოფლიო გლობალიზაციაში, მათი ეკონომიების მონაწილეობას მოითხოვენ და ამავე დროს, თავის ეროვნულ ეკონომიკურ სუვერენობას კარგავენ.

### სავალუტო ფონდი გლობალიზაციის ძალაყინია

1990-იანი წლების დამდეგიდან დაწყებული, სავალუტო ფონდის პოლიტიკა გავრცელდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკონომიებზე ისევე, როგორც პოლონეთზე და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ნაწილებზე, და გამანადგურებელი შედეგები მოიტანა. მიზანი გეოპოლიტიკურიც იყო და ეკონომიკურიც: სუსტი, ბალკანიზებული რუსეთის შექმნა და ლიად დაქვემდებარება ვარშავის პაქტის ეკონომიებისა გაძარცვის და გლობალიზაციის პროცესისადმი, სავალუტო ფონდის იმგვარად გამოყენებით, როგორც მან ლათინურ ამერიკაში იმუშავა. მცირე პრობლემას — იმას, რომ ვარშავის პაქტის ქვეყნები არ იყვნენ სავალუტო ფონდის წევრები — მალე მოეძებნა გადაჭრა.

დიდი შვიდეულის 1990 წლის ივნისის სამიტზე ჰიუსტონში ბუში ტეტჩერისა და მიტერანის წინადადებით დათანხმდა სავალუტო ფონდის კონტროლის შემოღებას საბჭოთა კავშირის ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის მთელ პროცესზე, როგორც ეს გაკეთდა 1989 წელს პოლონეთსა და იუგოსლავიაში. იუგოსლავიისადმი სავალუტო ფონდის მოთხოვნათა წაყენება იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი იმ ეკონომიკურ ბზართა გაჩენაში, რომლებმაც განაპირობეს ბალკანეთის გენოციდური ომები რამდენიმე თვით უფრო გვიან.

დიდ შვიდეულს ისე ეწადა სავალუტო ფონდის მიერ ამ პროცესის კონტროლი, რომ გადასდო მოთხოვნა, ჯერ სსრკ შესულიყო ამ ფონდში. მას მიანიჭეს სპეციალური სტატუსი „ასოცირებული წევრისა", რათა მიეცათ ფონდისათვის მისთვის პოლიტიკის კარნახის საშუალება. როგორც ამ პროცესის განუშორებადი ნაწილი, იქ მიიყვანეს არაკომპეტენტური ჯეფრი ზაქსი, რათა თავისი ავადგანთქმული „შოკური თერაპიით" გაეტარებინა სავალუტო ფონდისეული „პრივატიზაცია".

### „ღვთის გულისათვის, წადით!"

აღწერილ ვითარებაში აშშ კონგრესს ყველა არგუმენტი აქვს ხელთ, არა თუ უარი უთხრას სავალუტო ფონდს მისი ქვოტების გადიდებაზე, რაზეც ახლა დებატები მიმდინარეობს, არამედ თვით ეს ინსტანციაც გააუქმოს, თუმცა თვით ამ ფონდშიც არის ფრაქციები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მონეტარისტული დესტრუქციის პოლიტიკას. განმკარგულებელი დირექტორი მკაცრად აკონტროლებს ამ პოლიტიკას.

ზოგ აზიელს შეუმჩნეველი არ დარჩა, რომ აზიის ფინანსური კრიზისის შედეგად, შესაძლებელია, როგორც ერთმა ლონდონელმა ბანკირმა თქვა, „ევროპულ ინდუსტრიას მოეხსნას აზიის ინდუსტრიული მეტოქეობის საფრთხე" ერთი თაობის მანძილზე მაინც. ცნობილია, რომ ფრანგული ინდუსტრია განსაკუთრებით შეშფოთებულია თავისი კონკრეტული წარუმატებლობით და ზოგნი ბრალად სდებენ საფრანგეთის სახელმწიფო ბანკებს, თითქოს მათ წამყვანი როლი ითამაშეს, დასაწყისში მაინც, აღმოსავლეთ აზიისა და ჰონ-კონგის ვალუტების წინააღმდეგ მიმართულ იერიშებში. ერთმა ფრანგმა ბანკირმა თქვა: „პარიზელ ბანკირებს ვისაც ველაპარაკე, არ აწუხებთ აზიის მიერ განცდილი ზარალი. ისინი ამბობენ: „თუ საჭირო გახდა, სავალუტო ფონდი გვიშველისო". ეტყობა, იმედი აქვთ, რომ მიშელ კამდესიუ მათი ინტერესებისთვის მუშაობს".

ასეა მართლაც თუ არა, რეალობაა ისაა, რომ სავალუტო ფონდი დღეს ნაკლებ წააგავს იმას, რადაც იგი წარმოედგინათ რუზველტს და სხვებს 1944 წელს, როცა მას აარსებდნენ. სავალუტო ფონდი მკაცრად მონეტარისტია თავის პოლიტიკაში. ფონდში მომუშავე უმაღლესი თანამდებობის ამერიკელებიც კი მონეტარისტები არიან, მილტონ ფრიდმანის „ჩიკაგოს სკოლისა".

დიდი ხანია მოვიდა ბრეტონ ვუდსის ახალი კონფერენციის მოწვევის დრო. სავალუტო ფონდს ეკუთვნის დღეს იმ სიტყვების პარაფრაზი, რომლითაც ოლივერ კრომველმა მიმართა ინგლისის „გრძელ პარლამენტს" სამი საუკუნის წინათ: „მეტისმეტად დიდი ხანია, აქ ზიხართ. ღვთის გულისათვის, წადით!"

**SOS!**

# ტუბერკულიოზი — საშიში რეალობა

სოციალური მდგომარეობის მკვეთრმა ცვალებადობამ და ამ ფონზე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუარესებამ ჩვენს რესპუბლიკაში წარმოშვა არა ერთი გლობალური პრობლემა, რომელთა მოწესრიგება და სტაბილიზაცია ბევრად უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე მათი წარმომშობი მიზეზების შექმნა. არის საკითხები, რომელთა მიკუთვნება მართვად პრობლემებთან ჯერ კიდევ შეიძლება, მხოლოდ საჭიროა საზოგადოებრივი ძალების მობილიზება და სახელმწიფოს მხრივ გადაუდებელი, შეიძლება ითქვას, დაუყოვნებელი დახმარება.

დაბალკალორიული და თანაც მდარე ხარისხოვანი საკვები, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, სტრესები და ამდაგვარად, ძირითადი საზოგადოებრივი ფორმაციების რღვევები დღითიდღე არყევენ ჩვენს ჯანმრთელობას. იქნებ სწორედ ეს იყოს ერთ-ერთი მიზეზი ჩვენი „დიადი ეპოქის" დამახასიათებელი ნიშანთვისების — სულიერი რღვევისა. „ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სული დევს" — ამბობდნენ ბრძენი ბერძნები და რაოდენ სამწუხაროა, რომ მაღალი ეშელონის წარმომადგენლები პოლიტიკური ამბიციებით უფრო არიან დაკავებულნი, ვიდრე ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა სხეულის სიჯანსაღეზე ზრუნვით.

საუბარი გვექნება სენზე, რომელიც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ჰზარავდა მსოფლიოს და ერთ-ერთ განუკურნებელ მძიმე სნეულებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა. საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია და ეს არაა ახალი, რომ ქვეყანაში არსებობს ტუბერკულიოზის ეპიდემიის საშიშროება. მე-20 საუკუნეში მისი განკურნების ალბათობა უკვე მაღალია, საბოლოოდ კი, თითქმის მთლიანად შესწავლილი. სწორედ ეს გახდა მიზეზი ჩვენი საუკუნის 60-იანი წლებისათვის ჩაეთვალათ, რომ ტუბერკულიოზის პრობლემა მსოფლიოში არ არსებობს, ამიტომ ყურადღება ამ სნეულების მიმართ მსოფლიოს მასშტაბით შემცირდა და რამდენად საოცარია, რომ 2000 წლის მიწერულს კაცობრიობის განვითარების არნახული მიღწევების ეპოქაში ის, რაც 30 წლის ნულოვან ყურადღებას იმსახურებდა, დღეს მრავალი ქვეყნის დღის წესრიგში დადგა. რაც მთავარია, პრობლემაა არა მარტო განვითარებადი (რომელთა რიცხვსაც საქართველო მიეკუთვნება), არამედ განვითარებული, მძლავრი სახელმწიფოებისათვისაც.

ტუბერკულიოზის ახალი ტალღა 80-იანი წლების შუახანებში, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა, ძირითადად გამოწვეულია უარყოფითი სოციალური ფაქტორებით, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. და რა გასაკვირია, რომ მათ რიცხვს საქართველოც ეკუთვნოდეს, რომლის 91-95 წლების პოლიტიკური ცხოვრება, შეიძლება ითქვას, არანორმალური მაჯისცემით მიმდინარეობდა: შიდა აშლილობა, სამოქალაქო ომი, იძულებით გადაადგილებული პირები და საერთოდ ის პროცესები, რომლებიც თან სდევს ერთი სოციალურ-ეკონომიური ფორმაციიდან მეორე სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციაში გადასვლას. ყველაფერმა ამან შექმნა მეტად არასასურველი საყოფაცხოვრებო პირობები. ამგვარად, ქვეყანას უნდა მოეძებნა გზები არსებული სიტუაციიდან გამოსვლისა და მნიშვნელოვანი მომენტი, ცხადია, სოციალური პროცესის მოგვარებაა, მაგრამ ჩვენი წერილის მიზანი ეს არ არის. ამჯერად



PHOTO NEWS

შევჩერდებით ჯანდაცვით ღონისძიებებზე, რომლებიც ითვალისწინებენ ქვეყანაში ტუბერკულიოზის სახელმწიფო პროგრამის იდეოლოგიის დანერგვას, რომელიც ძირითადად გამოცდილი ქვეყნების მიერ შემუშავებულ სტრატეგიას ეყრდნობა და აპრობირებულია არაერთ სახელმწიფოში. მისი ინიციატორი ჯანმრთელობის სამინისტრო და საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაციაა. იმისათვის, რომ საკითხისათვის მეტი ნათელი მოგვეფინა, მივმართეთ კომპეტენტურ პირს, ტუბერკულიოზთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის კოორდინატორს, ფთიზიატრიისა და ფუმონოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორს, მეცნიერებათა დოქტორს გიორგი ხიჩინაშვილს. როგორც ბატონმა გიორგიმ ბრძანა, 1995 წლის აგვისტოდან საქართველოში მოქმედებს სახელმწიფო პროგრამა, აგებული საერთაშორისო გამოცდილებაზე, ადაპტირებული ჩვენს ეკონომიურ შესაძლებლობებზე. რადგანაც ერთია შექმნა პროგრამისა, მეორეა — დანერგვა, დაფინანსება, უწყვეტი და ზუსტი ფუნქციონირება. პროგრამის გათვალისწინებით სახელმწიფო იღებს ვალდებულებებს მოსახლეობის წინაშე, რომ ის გაიღებს თანხებს სტანდარტების გათვალისწინებით, რომელშიც მოქცეულია პროფილაქტიკა, გამოკვლევა, სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობა. ამგვარად, ყველა ეს პუნქტი მოსახლეობისათვის უფასოა და მათში შედის სტაციონალური მკურნალობის დროს კვება ბიუჯეტის ხარჯზე. პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი არის სინამდვილის მაქსიმალურად რეალური შეფასება და ინფორმირება მოსახლეობისა რეალური საფრთხის შესახებ. რადგან საბჭოურმა პერიოდმა გვიჩვენა, რომ ციფრების შელამაზება, ასე ვთქვათ, სიცრუის თქმა, სასიკეთოს არაფერს მოგვცემს (?!), ამიტომ ობიექტური ინფორმაცია აუცილებელი კომპონენტია, რაგინდ იდეალური არ უნდა იყოს პროგრამა. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ახალ გზაზე მდგომი ქვეყნისათვის ყველაფერი იდეალურია. რადგანაც ყველაფერი ყალიბდება, ახალ ფორმას იძენს და ამგვარად, ცხოვრება და მოღვაწეობა ახალ სისტემაში გვიწევს, მაგრამ თვით იდეალური პროგრამა, იდეალური დაფინანსებით, იდეალური შესრულებით სამი და, გნებავთ, ხუთი წლის განმავლობაში მკვეთრ ცვლილებას ვერ მოახდენს, რადგანაც თვით საერთაშორისო გამოცდილებით ცნობილია, რომ კლება 5-10%-ით თუ მიიღწევა.

წელიწადში 100 ათას მოსახლეზე 1996 წელს 134 დაავადებული იქნა რეგისტრირებული, ხოლო 1997 წელს 101 შემთხვევა. ფაქტია, ავადობის მაჩვენებელი კლებულობს, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ეს რეგისტრირებული შემთხვევებია.

მართალია, შენობა-ნაგებობები არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ ამ ეტაპზე პრიორიტეტი სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ენიჭება: კვებას, მედიკამენტებით უზრუნველყოფას, ლაბორატორიების თანამედროვე, უახლესი ტექნიკით აღჭურვას, ამგვარად ბიუჯეტი მხოლოდ პრიორიტეტულ საკითხებს აფინანსებს, მაგრამ თუ

გაგრძელება მე-8 გვერდზე

მეშვიდე გვერდიდან **SOS:**

# ტუბერკულიოზი — საშიში რეალობა

მკურნალობისათვის გათვალისწინებული ღონისძიებები ეფექტურია, დამეთანხმებით, ნაგებობები მხოლოდ ვიზუალური ფაქტორია.

აღსანიშნავია, რომ დაავადების გამომწვევ მიზეზად მხოლოდ კვების ფაქტორი არ გვევლინება, რაც მოსახლეობაში ეგზომ პოპულარული აზრია. მათ რიცხვს მიეკუთვნება სხვა სოციალური მომენტებიც. ეს არის სტრესები, მიგრაციული მომენტები, რადიაციული ფონი, დაავადებულის არადროული გამოვლენა.

დაავადებულთა ყველაზე დიდი რიცხობრივი წილი მოდის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე. რამდენადაც არ უნდა შეალამაზონ შინაგან საქმეთა წარმომადგენლებმა იქ შექმნილი მძიმე ცხოვრებისეული პირობები, ფაქტი მაინც ჯიუტია, პატიმართა ჯანმრთელობა სავალალო მდგომარეობაშია და ამ მხრივ გამონაკლისი არც ტუბერკულიოზია. ბატონმა გიორგიმ, შეიძლება ითქვას, დამამშვიდებელი ინფორმაცია მოგვაწოდა. სწორედ ახლა მუშავდება სამმხრივი პროექტი ტუბერკულიოზის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამით. მასში მონაწილეობენ საერთაშორისო წითელი ჯვრის, ჯანდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები. პროექტი ითვალისწინებს დაახლოებით 600 ადამიანის (პირველ ეტაპზე) უზრუნველყოფას მედიკამენტებით და კვების პროდუქტებით, აგრეთვე ითვალისწინებს ახალ დაავადებულთა გამოვლენასა და რეგისტრაციას. თავდაცვის სამინისტრო უშუალოდ თავის თავზე იღებს ვალდებულებებს, რომ ამ მხრივ მდგომარეობა გამოსწორდება და კვების დღიური ნორმა 3000-3200 კალორიამდე გაიზრდება, რაც სრულებით ნორმალურია. როგორ შეასრულებს თავდაცვის სამინისტრო მოცემულ დაპირებებს, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ცხადია, პროგრამა უნაკლო არ არის, პრაქტიკაში განხორციელებისას მრავალი ხარვეზი იჩენს თავს, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებთ, რომ მეზობელ რესპუბლიკებში, აზერბაიჯანსა და სომხეთში მხოლოდ ახლა იწყებენ პროგრამის შემუშავებას. დამეთანხმებით, ჩვენ ამ მხრივ ბევრად წინ ვდგავართ.

და ბოლოს, გვსურს მოსახლეობას ვამცნოთ ის ნიშნები, რომელთა გამოვლენის შემდეგ უნდა მიმართოთ ადგილობრივ ტუბდისპანსერებს, სადაც ჩატარდება გამოკვლევა:

1. ხველა სამი და მეტი კვირის განმავლობაში ნახველის გამოყოფით;
2. ნახველი შეფერილია ალისფრად;
3. ოფლიანობა;
4. ჯირკვლების გადიდება;
5. ჭვალი ფილტვების არეში;
6. დღის მეორე ნახევარში ტემპერატურის მომატება.

**ძ.გეჯაძე**

# არის თუ არა სიცოცხლე მარსზე?

1976 წლის 20.VII მარსზე დაჯდა პირველი კოსმოსური ხომალდი „ვიკინგ-I", ხოლო ექვსი კვირის შემდეგ — „ვიკინგი-II". მათი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო, შეესწავლათ მარსის პირობები იქ სიცოცხლის შესაძლებლობის თვალსაზრისით, მარსი ხომ ციურ სხეულთა შორის ყველაზე უკეთესი „კანდიდატია", რომ იქ სიცოცხლის არსებობა ვივარაუდოთ: მარსს აქვს ატმოსფერო. მისი ბრუნვის ღერძი, დედამიწის ღერძივით, დახრილია, რის გამოც მასზე ზამთარი და ზაფხული არსებობს. მზესთან არც მეტისმეტად ახლოა, არც მეტისმეტად შორს, რათა ისეთმა სათუთმა პროცესმა, როგორიც სიცოცხლეა, იქ გაძლოს.

„ვიკინგმა" მარსზე მიიტანა დოქტორ ჯილბერტ ლევინის მიერ შექმნილი ხელსაწყო, რომელმაც მარსის ნიადაგის სინჯზე ერთი წვეთი რადიაქტიური მკვებავი ნივთიერება მოათავსა და დაადგინა, რომ იმ სინჯიდან რადიაქტიური გაზის გამოსვლა დაიწყო. ექსპერიმენტის ავტორმა ეს სიცოცხლის ნიშნად ჩათვალა, მაგრამ მას შემდეგ გასული ორი ათწლეულის მანძილზე ვერ შეძლო მეცნიერული საზოგადოებრიობის დიდი ნაწილი დაერწმუნებინა თავისი დასკვნის სისწორეში. ვერ შეძლო მიუხედავად იმისა, რომ მისი ექსპერიმენტის შედეგის რაიმე სხვა სარწმუნო ახსნა არავის შემოუთავაზებია.

სათაურით „ცოცხალი პლანეტა" აშშ-ში გამოვიდა ბ. დი-გრეგორიოს წიგნი, რომელშიც ბევრი საინტერესო რამ არის ნათქვამი ამ პრობლემის შესახებ.

პირველ ყოვლისა, ავტორს მოჰყავს მონაცემები, რომელთა მიხედვითაც ფართოვდება ჩვენი წარმოდგენა იმაზე, თუ რომელ პირობებში შესაძლებელია სიცოცხლის არსებობა. მაგალითად, ნაპოვნია დედამიწაზე ბაზალტის ქანზე 1500 მეტრის სიღრმეზე უჟანგბადო წყლის გარემოცვაში ბაქტერიები, რომლებიც არაორგანული ნივთიერებით — ვულკანური ბაზალტით იკვებებიან. მაშასადამე, შესაძლებელი ყოფილა ისეთი სიცოცხლეც, რომელიც არ მოითხოვს ორგანულ მასალას და არც ფოტოსინთეზირების უნარს, ხოლო ის ფაქტი, რომ მარსის ზედაპირზე ორგანული ნივთიერება ნაპოვნი არ არის (ჯერჯერობით), ვერ გამოდგება ურყევ საბუთად, რომ სიცოცხლე არ არსებობს.

მრავალნი ფიქრობენ, რომ მარსის ზედაპირის ქვეშ შეიძლება თხევადი წყალი იყოს (ზედაპირზე იგი ვერ იქნება დაბალი ტემპერატურის გამო). მაგრამ უდავოა, რომ მარსი გეოლოგიურად აქტიური პლანეტა იყო (ვულკანთა მქონე), და, შესაძლოა, დღესაც არის. ამიტომ შესაძლებელია, რომ ამა თუ იმ ქანებში ზედაპირის ქვევით წყალი თხევად მდგომარეობაში იმყოფებოდეს.

სკეპტიკოსები ფიქრობენ, რომ მარსის თხელი და ოზონის შრის არმქონე ატმოსფერო ვერ დაიცავს სიცოცხლეს მომაკვდინებელი ულტრაიისფერი დასხივებისაგან. მაგრამ ავტორი იმოწმებს დედამიწაზე მაცხოვრებელი ისეთი ორგანიზმების მაგალითს, რომლებმაც ამ დასხივებისაგან დაცვის საშუალებები გამოიმუშავეს.

მიჩნეულია, რომ მარსზე სიცოცხლეს ემუქრება ამ პლანეტაზე არსებული რადიაქტიური ნივთიერებების დაშლის პროცესიც მისგან გაჩენილი რადიაციის გამო. მაგრამ ავტორი იმოწმებს იმ ფაქტს, რომ აღმოჩენილია რადიაციის გამძლე მიკროორგანიზმი პენსილვანიაში ბირთვული რეაქტორის შიგნით. საფიქრებელია, რომ ამგვარი მიკროორგანიზმები თავს იცავენ იმით, რომ მუდმივად გამოყოფენ ენზიმებს, რომლებიც მათ დე-ენ-მჟავას „დაზიანების კონტროლს" უწევენ. დასკვნა ერთია: ჯერ ადრეა ხელის ჩაქნევა მარსზე სიცოცხლის არსებობის ჰიპოთეზაზე.

ჯილბერტ ლევინიც ფარ-ხმალს არ ყრის და ახალ ექსპერიმენტებზე ფიქრობს. ერთი მათგანი ემყარება ცოცხალ სისტემათა უცნაურ თვისებას — მათში მარჯვენა-მარცხენის არსებობას. მისი იდეით, აშშ-მ რუსეთის მიერ მარსზე 1996 წელს დასასმელ აპარატში მოათავსა ხელსაწყო, რომელსაც უნდა დაედგინა და გაეზომა ოქსილანდების (დამჟანგველების) არსებობა მარსის ნიადაგში. ექსპერიმენტი შეიცავდა ბოჭკოს (ფიბრს), რომელსაც გარეთ ჰქონდა ორი სხვადასხვა ვერსიის — „მარჯვენისა" და „მარცხენის" — ამინომჟავა. თუ მარსის ნიადაგი ირეაგირებდა „მარცხენა" იზომერზე, ლევინის აზრით სიცოცხლის არსებობის მაჩვენებელი იქნებოდა.

საუბედუროდ, რუსული აპარატი ვერ დაჯდა მარსზე და ექსპერიმენტიც გადაიდო.

მას შემდეგ, რაც მეცნიერთა ჯგუფმა გამოთქვა რწმენა, რომ მარსზე ადრე უარსებია სიცოცხლეს, რასაც გვაფიქრებინებს მისი მეტეორიტის ALH84001 შესწავლა, ლევინმა კვლავ შესთავაზა ექსპერიმენტი მარსზე მორიგი აპარატის გამშვებთ, მაგრამ უარი მიიღო, რადგან ამას მთელი აპარატის ძალიან ძვირადღირებული სტერილიზაცია დასჭირდებოდა.

# მსოფლიოს გარშემო

## ნარკოტიკთა ლეგალიზაციის მომხრენი არ ცხრებიან

თეთრი სახლი კვლავ მოუწოდებს ძალისხმევისაკენ „მარიხუანას ლეგალიზაციის მცდელობის" წინააღმდეგ. ერთ-ერთი გზა ამ მცდელობისა არის კანაფის, როგორც ახალი ინდუსტრიული მცენარის, მოყვანის ლეგალიზაციის გეგმა, რომელშიც, სხვათა შორის, ცნობილი ფინანსისტის ჯორჯ სოროსის მტრები ამ უკანასკნელის მხრადაჭერასაც ვარუდობენ. ერთადერთი საშუალება, რომ ერთიმეორისაგან გაარჩიოთ სამრწეველო კანაფის მომცემი მცენარე და ნარკოტიკის მომცემი მისივე ჰიბრიდები, ქიმიური ანალიზია. სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის აზრით, კანაფი არ არის ეკონომიკურად გაძლებისუნარიანი მცენარე, ვინაიდან მისი ყველა ინდუსტრიული გამოყენებისთვის უკვე მოძებნილია სხვა, უფრო იაფი შემცვლელი ნედლეული. დღეს აშშ კანონით ისჯება მარიხუანას ქონაც და წარმოებაც.

## ნავთობის ფასები დაბალია, დროებით?

ნავთობის მსოფლიო ფასების დაბალმა დონემ განაპირობა „ოპეკის" ქვეყნების (ნავთობის გამყიდველი ქვეყნების ორგანიზაცია, ოპეკ) მეთაურთა შეხვედრის, მათი ე. წ. „სამიტის" აუცილებლობა. უკანასკნელი ასეთი შეხვედრა მოხდა 1975 წელს, რასაც მალე მოჰყვა ამ პირველი ნომერი სტრატეგიული ნედლეულის ფასთა გადახრა აღმოსავლეთის სასარგებლოდ და დასავლეთის საზიანოდ — მათი ზრდა. ფასების საქმე „ცუდად" წავიდა მას შემდეგ, რაც გასული წლის ნოემბერში საუდის არაბეთის წინადადებით დღიური მოპოვების საერთო ქვოტა აწეულ იქნა 27,5 მილიონ ბარელამდე დღე-ღამეში, რომელშიც საუდის არაბეთის წილი 8,76 მილიონს უდრიდა. დღეს ჩრდილოეთის ზღვის ნავთობი იყიდება, 14,87 დოლარად ბარელი, ერთი წლის წინ კი 24,50 დოლარი ღირდა. როგორც უკვე აღნიშნეს ირანის პოლიტიკოსებმა, აზიის ფინანსური კრიზისი ხელს შეუწყობს ფასების დაბალ დონეს, ვინაიდან იგი ამცირებს აზიელთა მოთხოვნილებასაც და ყიდვისუნარიანობასაც. თვით ირანი იძულებულია ბიუჯეტი გადასინჯოს ნავთობის შემოსავლის კლების გამო.

## მუსლიმანი სლავების პოზიცია

თეირანში ჩატარებულ „ისლამურ კონფერენციას" მგზნებარე სიტყვით მიჰმართა ბოსნიის პრეზიდენტმა ალიჯა იზეთბეგოვიჩმა, ძირითადად ირანის და შეერთებული შტატების შერიგებისაკენ. მიმართულ თავის გამოსვლაში მან დიდი დრო დაუთმო ორი „სამყაროს" ურთიერთობას — დასავლეთისას, რომელსაც იგი ეკთვნის თავისი ქვეყნის მდებარეობითა და გენეტიკით, და აღმოსავლეთისას, რომელსაც ეკუთვნის აღმსარებლობით. თავის გულახდილობის გამო მობოდიშების შემდეგ მან თქვა: „დასავლეთი არც გარყვნილია, არც გადაგვარებული, ეს იყო კომუნისტური პროპაგანდა, რომელიც სახიფათოა და ილუზია. დასავლეთი დამპალი კი არა, არამედ ძლიერია, განათლებულია და ორგანიზებულია. მათი სკოლები ჩვენსას (მუსლიმანებისას, რედ.) სჯობია და მათი ქალაქები ჩვენსაზე სუფთაა... ღარიბთა და უუნაროთათვის ზრუნვა უკეთაა ორგანიზებული. დასავლელები, ჩვეულებრივ, პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილნი და მუშაობაში სერიოზულნი არიან. ისლამი უკეთესია, მართალია, მაგრამ ჩვენ უკეთესნი არა ვართ. ეს ორი სხვადასხვა რამაა. მოდით, დასავლეთის სიძულვილის ნაცვლად შევეტოქოთ მას. გავუმართოთ მას დიალოგი. გამოვაცხადოთ თანამშრომლობა დაპირისპირების ნაცვლად. სარწმუნოებისა და მეცნიერების შერწყმა ქმნის მსოფლიოს უდიდეს ძალას, ამიტომ ჩვენ ამ გზას უნდა გავყვეთ. ეს გრძელი და ძნელი გზაა — იგი იმ მთაზე ასვლას ჰგავს, ყურანი რომ მოგვითხრობს, მაგრამ სხვა გზა არ არსებობს. ამიტომ ყველგან განათლების ფონდების შექნა ??, არც ერთი ბავშვი არ უნდა დარჩეს სკოლის გარეთ."

პრეზიდენტმა ტაქტიანად გაილაშქრა ტერორის წინააღმდეგ, რომელიც, მისი თქმით, არა მხოლოდ პარალელურია, არამედ უნაყოფოც: იგი უდანაშაულო მსხვერპლს იწვევს, ამავე დროს კი ცნობილია, რომ მან დღემდე ვერც ერთი პრობლემა ვერ გადაჭრა. მას გმობს ყურანიც, თუმცა, სამწუხაროდ, ეს დღეს ბევრს აღარ ახსოვს.

მეექვსე გვერდიდან **ქართული ემიგრაცია**

# საქართველოს სახელმწიფოს ამოცანები საერთაშორისო სამართლის შუქზე

ბის უმეტესობა წინააღმდეგი იყო ქვეყნის შეერთებისა რუსეთთან და გამოდიოდნენ დამოუკიდებლობის გარკვეული ატრიბუტების შენარჩუნების მოთხოვნით. ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა, მდივანმა დავალება მიიღო ეს გადაწყვეტილება რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის გაეცნო.

სტალინი საიდუმლო ტელეგრამით მოსკოვიდან აცნობებს თბილისში ქართველ კომუნისტებს შემდეგ გადაწყვეტილებას:

„გადაიგზავნა 16 ოქტომბერს მიღებულია 17-ში, 10-00, ამხ. ორჯონიკიძეს

გრუზცეკას (საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტი) დასკვნა კავშირის მიუღებლობასა დ დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესახებ ერთხმად იქნა უარყოფილი კპ ცკ პლენარულ სხდომაზე. პლენარულმა სხდომამ ყოველგვარი ცვლილების გარეშე მიიღო დასკვნა კომიტეტისა, რომლის წევრებიც არიან: სტალინი, ორჯონიკიძე, მიმიკოვი და მოლოტოვი და რომელიც შეეხება ამიერკავკასიის ფედერაციული კავშირის გაერთიანებას რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან. რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ მისი დირექტივა მიღებული იქნება ენთუზიაზმით". №7643, საიდუმლოდ.

რათა გაეტეხათ წინააღმდეგობა და აეძულებინათ მორჩილებისაკენ ისინი, რომლებიც გაბედავდნენ საკუთარი შეხედულების ქონას, რუსეთის კომპარტიის ცკ კვლავ აგზავნის მეორე ტელეგრამას, ოღონდ ამჟამად უკვე მკვეთრი ტონით:

„მოსკოვიდან გაგზავნილია 23 ოქტომბერს 18-00, მიღებულია 24 ოქტომბერს.

თქვენს მიერ ველიკორუსული ნაციონალიზმის დაგმობა სრულიადაც არ უნდა ნიშნავდეს ქართული ნაციონალიზმის დაცვას. უნდა იცოდეთ, რომ პლენარული სხდომის დასკვნა, რომელიც ეხება ამიერკავკასიის ფედერაციის შესვლას კავშირში (სოციალისტური რესპუბლიკების) სრულად უნდა შესრულდეს. შესაძლებელია მას გადახედოს ახალმა პლენარულმა სხდომამ, თუკი იგი ამას მოისურვებს. თქვენი უკანასკნელი ღია წერილის ტონი მკვეთრად არ ეთანხმება პარტიის წეს-ჩვეულებებს. მოგიწოდებთ შესწყვიტოთ ყოველგვარი დავა და მომავალში იმუშაოთ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა მიხედვით" (ხელმოწერილია) კამენევი, ბუხარინი, №6028.


ქაქუცა ჩოლოყაშვილი სტუმრად პოლონეთში (1926 წ.)

ქართველმა კომუნისტ-ოპოზიციონერებმა საჭიროდ ჩათვალეს იმავდროულად მიემართათ ბოლშევიკთა არქი კაპლანის, ლენინისათვის იმ იმედით, რომ ლენინი მათ სასარგებლოდ ჩაერეოდა ამ საქმეში, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ნაცვლად იმისა, რომ ისინი დაეცვა, ლენინმა შემდეგი შინაარსის საყვედურებით სავსე ტელეგრამა გამოუგზავნა:

„გაოცებული ვარ თქვენი ტელეგრამის ტონით, რომელსაც ხელს აწერენ ცინცაძე და სხვები და რომელიც მე გადმომცა, არ ვიცი, რატომ, ბუხარინმა, და არა ცენტრალური კომიტეტის რომელიმე წევრმა. ვვარაუდობდი, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენარული სხდომის გადაწყვეტილებაში, რომელშიც უშუალოდ ვიღებდი მონაწილეობას, გამორიცხული იყო ყოველგვარი გაუგებრობა, ვინაიდან მას მდივანიც ესწრებოდა. კატეგორიულად ვგმობ ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევას, რომელსაც ადგილი აქვს ორჯონიკიძის მხრიდან და მოვითხოვ, რომ თქვენი საჩივარი, ლოიალურად რედაქტირებული, სათანადო წესების დაცვით, დასკვნისათვის გადაეგზავნოს ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, სადაც ვაგზავნი ასევე თქვენს დეკლარაციას (ხელმოწერილია) ლენინი. №7994 საიდუმლოდ.

ზემოთ მოტანილი დოკუმენტები იმის შესახებ ლაპარაკობენ, თუ რა ფორმით დასრულდა ეს შიდა, ბოლშევიკებისათვის ასე დამახასიათებელი მოქმედების წესი, საქართველოს ოკუპაციის საქმე.

საქმის ასეთი ფორმით წარმართვის პროტესტის ნიშნად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გადადგა.

ამრიგად, მოსკოვმა შესძლო დაემორჩილებინა საქართველოს კომუნისტები, რომელთაც გაბედეს პროტესტი გამოეთქვათ საქართველოს დამოუკიდებლობის უკანასკნელი ნაშთების გაუქმების საწინააღმდეგოდ. თუმცა, ოპოზიციონერებს პარტიის უმეტესობა ემხრობოდა, მოსკოვმა ისინი ჩამოაცილა მთავრობასა და ადმინისტრაციულ ხელისუფლებას და შეცვალა საქართველოს რუსეთის მიერ ანექსიის მომხრეებით. მცირე ხნის შემდეგ მოსკოვის გადაწყვეტილების ძალით, ოპოზიციონერები რუსეთში იქნენ გადასახლებულნი.

ზემოთ მოტანილი ფაქტები იმის მტკიცე საბუთებია, რომ მოსკოვმა ვერ მოიპოვა მხარდაჭერა ქართველ ხალხში, რომელმაც რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტს გამოთქვამდა და სოლიდარობას უცხადებდა თავის სამართლებრივ ხელისუფლებას. ამდენად, სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი პირველი პირობა — მოსახლეობა — არ გამქრალა.

პოლონურიდან თარგმნა
**ამბროსი გრიშიკაშვილმა**

# აფხაზეთი ის ტაძარია, რომელსაც უპატრონობის გამო ეშმაკები დაეპატრონენ

რუსეთის დუმას სურს საქართველოს ჩამოათალოს მსუყე „დუმა" აფხაზეთის სახით. რუსეთის დუმის გეოპოლიტიკის კომიტეტში იხილება აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმისთვის ეკონომიკური შეზღუდვების გაუქმების საკითხი. დსთ-ს სამიტზე მიღებული აფხაზეთის ეკონომიკური ბლოკადით კარგა ხანია ამაყობს საქართველოს ხელისუფლება, ოღონდ ეგ არის, რომ აღნიშნული ბლოკადა მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა, რადგან რუსეთისა და თურქეთის გემებიც აფხაზეთის პორტების ხშირი სტუმრები იყვნენ, ხოლო სახმელეთო საზღვარზე ფსოუზე იარაღითა თუ სავაჭრო საქონელით დატვირთული მანქანები ისე ადვილად გადი-გამოდიან, როგორც ლობემოშლილ ყანაში მიშვებული საქონელი. პრინციპში, რა არის გასაკვირი. აფხაზეთი ხომ მართლაც ის ტაძარია, რომელსაც უპატრონობის გამო ეშმაკები დაეპატრონენ. პატრონი კი, კარგად მოგეხსენებათ, საქართველოს ხელისუფლება უნდა ყოფილიყო.

ასე რომ, აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ბლოკადა, რომელიც ფიქტიურად ქაღალდზე მაინც იყო გაფორმებული, რაც ამ ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციას უსვამდა ხაზს, ხვალიდან შეიძლება გაუქმებული იქნას იმ სახელწიფოს მიერ, რომელსაც ყველაზე დიდი პრეტენზიები აქვს აფხაზეთის მიწა-წყალზე. ეს ფაქტი ნიშნავს რუსეთის მიერ აფხაზეთის ტერიტორიის მისაკუთრებისათვის გაკეთებულ კიდევ ერთ საყურადღებო განაცხადს. აფხაზეთს მძიმე წყალწყვის გემივით ნელა-ნელა გვშორდება. მისი სრულიად დაკარგვის რეალური საშიშროება სახეზეა. ასე დავკარგეთ უკვე ჩვენ ამავე საუკუნეში ტაოკლარჯეთი, სოჭის მხარე, ლორე და საინგილო. თუკი პოლიტიკური წარღვნა არ მოხდა, მათი დაბრუნების მცირეოდენი შანსიც კი არ არსებობს.'



ნუთუ, ჩვენი ხელისუფლების უთაო, უძლური და უპერსპექტივო პოლიტიკის წყალობით აფხაზეთიც უნდა დაემატოს საქართველოს მიერ დაკარგული ტერიტორიების რიცხვს?

**გია თვალავაძე**

სატირა

## გამსახურდიას ბრალია

აფხაზეთი რომ დავკარგეთ,
მიჯნა ენგურის წყალია,
იცის დიდმა და პატარამ
ექსპრეზიდენტის ბრალია.

დღეს სამაჩაბლოს ოსი ფლობს,
ქართველს დაუვსეს თვალია,
კითხვაც არ უნდა, ეს საქმე
გამსახურდიას ბრალია.

ელექტრონი რომ არ გვყოფნის,
გვწამლავს პური და წყალია,
ეს თავითავად ცხადია
გამსახურდიას ბრალია.

თენგიზმა დაწვა თბილისი,
დღესაც ატყვია კვალია,
ზვიადი იჯდა ბუნკერში,
მაინც იმისი ბრალია.

ყინვა რომ იცის ზამთარში,
დედამიწა რომ მრგვალია,
უშედეგოდ რომ მკურნალობს,
ვერ ორსულდება გალია,
მეტროს ვაგონში ჭეჭყვის დროს,
რომ დაორსულდა ვალია.
ჩემი ნაცნობის დედიკოს,
ცხვირ-პირს რომ უმტვრევს
რძალია,
ეს ყველაფერი ნამდვილად
გამსახურდიას ბრალია.

ქურდები შემოგვესივნენ,
როგორც ვირთხა და კალია,
გაძარცვეს ამერ-იმერი,
დაწვეს სახლი და ნალია,

მთლად საქართველო შიმშილობს,
ოცნებად გვექცა ლარია,
რად უნდა ამას მტკიცება,
გამსახურდის ბრალია.

**ნიკოლოზ იოსებიძე**

# მითი და რეალობა რუსეთის ისტორიის შესახებ ანუ რუსები სულაც არ ყოფილან რუსები?!.

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" № 18

ბათუს ლაშქრობათა გეოგრაფიამ 1236-1238 წლებში ზედმიწევნით გაიმეორა ეს გზა. ქვემო ვოლგიდან ვოლგისპირა ბულგარეთზე, ვლადიმირზე, იაროსლავლზე, კოსტრომაზე, ტორჟოკზე და იგნაჩ-კრესტზე. მის ლაშქრობათა მთელი ლოგიკა მიმართული იყო ნოვგოროდისაკენ.

ჯუჩის ულუსმა გადაინაცვლა ქვემო ვოლგისპირეთისკენ და დაიკავა ვოლგის სავაჭრო გზა. ამ მსოფლიო სავაჭრო არტერიაზე ბატონობა ჯუჩის ულუსს და ვოლგის ურდოს ჩინგისხანის იმპერიაში პირველ ადგილზე აყენებდა, მაგრამ ქვემო ვოლგისპირეთი, — ეს არ ნიშნავს სრულ ბატონობას სავაჭრო გზაზე. აქ მთავარი საკვანძო ცენტრი მაინც ნოვგოროდია.

ბათუს, ზრუნავდა რა ჯუჩის ულუსზე, არ სურდა ამ უმნიშვნელოვანესი სავაჭრო კვანძის დანგრევა, რომელსაც უკვე მთლიანად აკონტროლებდნენ ვოლგის გზის თათრები. მას ესმოდა, რომ ნოვგოროდის განადგურება გამოიწვევდა ამ სავაჭრო გზის სრულ ჩაკვდომას, ხოლო მისი შენარჩუნებით მონღოლები გარანტირებულნი იყვნენ იმაში, რომ საქონელი ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპიდან ჩავიდოდა იქ, სადაც ფულს გადაიხდიდნენ, ანუ ოქროს ურდოში.

ამ მოსაზრებებთან ერთად ჩრდილო-აღმოსავლეთ სათავადოების განადგურებისაგან მონღოლები თავს იკავებდნენ ერთი მერკანტილური საკითხის გამოც. კერძოდ, ამ მიწებზე შეიძლებოდა ყველაზე ორგანიზებულად და მოწესრიგებულად აეკრიფათ ხარკი.

საინტერესოა ერთი ნიუანსი: იმ მწარე ბათუ ყაენის დროს ნოვგოროდელებმა უკუაგდეს კაბალური შრომა, ნახეს ძლიერი ხელიც, აჯანყებებიც და გამოეყვნენ რუსეთს, ვლადიმირის სამეფოს. ამით ისინი ბათუ ყაენისგან დაპყრობას და დატყვევებას გადარჩნენ.

ურდო დაინტერესებული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ სამთავროებთან ურთიერთობის დამყარებით, რომელიც სავასალოებს მოგვაგონებდა. ეს რეგიონი მხოლოდ ამ პირობით შეასრულებდა იმ ფუნქციებს, რომლებზეც ზემოთ ვსაუბრობდით.

ამისათვის კი აუცილებელი გახლდათ პოლიტიკურ ძალაზე დაყრდნობა, რომელიც ამ ურთიერთობებს თავის ავტორიტეტით დაიცავდა შიგნიდან (სწორედ ამ ავტორიტეტის შესაქმნელად იკრიბებოდა მითები დიდ პატრიოტზე და გმირზე — ნეველზე!).

ასეთი ძალა იაროსლავის და მისი შთამომავლობაში იქნა ნაპოვნი. ამასთან ერთად, მონღოლებმა შექმნეს შემაკავებელი სისტემა ორი უზარმაზარი სამთავროსი — ვლადიმირისა და კიევის სახით. და ამით სამთავროების პოლიტიკურ ცხოვრებაზე გაცილებით სრულყოფილი საკონტროლო სისტემა დააწესეს. იმისათვის, რომ მიეღოთ რუსული მიწებისგან დიდი გადასახადი და ეს მიწები დასავლეთისაკენ არ წასულიყო, ურდოს ჰაერივით სჭირდებოდა მისდამი ძალზე ლოიალური და ავტორიტეტული მთავარი. ამ პირობებს საუკეთესოდ პასუხობდა ალექსანდრე ნეველი. დაუოკებელი წყურვილი ძალაუფლებისადმი და სიმდიდრისადმი (რაც ყველაზე მეტად მის შვილიშვილში ივანე კალიტაში გამოვლინდა), მისი სრული პოლიტიკური და ეთიკური ამორალიზმი მონღოლებს მეტისმეტად აწყობდათ.

ალექსანდრე ნეველი გრძნობდა თავისი ქვეყნის შიგნით არამდგრადობას (არ დავივიწყოთ მისი „მიღწევები" სახალხო და სამთავრო გამოსვლებისას თათარ-მონღოლთა წინააღმდეგ), ალექსანდრე კარგად ხვდებოდა, რომ ერთადერთი ძალა, მისი პირველობის შენარჩუნება რომ შეეძლო, ურდო გახლდათ, მისი სიძულვილი დასავლეთისადმი და განსაკუთრებით პაპისადმი გამოიწვია იმ მოსაზრებებმა, რომ დასავლეთი არ დაინტერესდა თავის აღმოსავლეთის საზღვრებთან უზარმაზარი პოლიაზიური ურჩხულის დაარსებით, და ამიტომ ცდილობდა, თითოეულ მთავართან ცალ-ცალკე დაემყარებინა ურთიერთობა; როგორც თითოეული სამთავროს დამოუკიდებელ ხელისუფლებასთან. ამას ემატებოდა ისიც, რომ რომის კურია ცდილობდა თავის აღმოსავლეთელი კონკურენტების დამარცხებას ბერძნული მართლმადიდებლობით.

მართლმადიდებლების კათოლიკობაზე გადასვლა მკვეთრად ავიწროებდა მთავრების ძალაუფლებას და მათ მხოლოდ **светскую власть**-ს უტოვებდა. ეს არც მთავრებს აწყობდათ. ამდენად, ალექსანდრე სულითა და ხორცით მონღოლებთან გაერთიანდა.

1251 წელს მან გადაჭრით უარყო პაპის დახმარება ურდოსთან საბრძოლველად და აღმოსავლეთთან შევიდა კავშირში. სწორედ ამ დროს ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთი ევროპას დაუპირისპირდა და ალექსანდრე ნეველის შემოტანილმა იდეოლოგიამ ევროპელებთან დაკავშირებით მოითხოვა: „მათი ზნე-ჩვეულებები არ გადმოეღოთ და არც მათი სწავლებები მოესმინათ, არ ემეგობრათ მათთან, რადგან მათი გამხრწნელი აზრები სრულიად დამღუპველია". უპირატესობა ეძლეოდა პრინციპს, უმჯობესია ხანი, ვიდრე პაპი. რკინის ფარდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ჩამოეშვა საუკუნეებით. ამით გაიყო ეს ორი ცივილიზაცია.

ამგვარად, ჩვენს წინაშეა ცივსისხლიანი ღალატი, ქვეყნისა და ხალხისა, რომელიც ალექსანდრე ნეველმა ჩაიდინა და მას არავითარი რომანტიული შეფერილობა, არავითარი პოლიტიკური შესაბამისობა არ გაამართლებს. იმისათვის, რომ თავისი პარაზიტული არსებობა უზრუნველეყო, მან თავდაპირველად თავის ძმას ანდრეის უღალატა, შემდეგ კი გახდა თათარ-მონღოლთა პოლიტიკის გამტარებელი აღმოსავლეთ ევროპაში.



თუ საფუძველი არა, უმთავრესი როლი ამ ორიენტაციაში აღმოსავლეთში მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ითამაშა. ვოლგისპირეთის ურდო და ნოღაის ურდო XIII საუკუნის 60-90-იან წლებში ეკლესიებში ინარჩუნებდნენ იმავე შეღავათებს, რომლებიც მათ მიაკუთვნათ ჯერ კიდევ ბათო ყაენმა, XIII საუკუნის 40-50-იან წლებში ვოლგისპირეთის ურდოს მმართველებმა თავიანთ დედაქალაქში 1261 წელს შექმნეს სრულიად განსაკუთრებული სარაის საეპისკოპოსო.

ეკლესია ყველა გადასახადისგან გათავისუფლდა, მათ შორის სათავადაზნაუროსგანაც. უზბეკეთის ხანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მოსკოვის მიტროპოლიტის პოლიტიკური უფლებები.

მიტროპოლია აიხსნებოდა, როგორც ყაენზე დაქვემდებარებული სამთავრო მფლობელობა. უშუალოდ მიტროპოლია თათართა ხარკისგანაც გათავისუფლდა, თუმცა სასამართლო და ადმინისტრაციული უფლებები მას ცოტას მაინც ავალდებულებდა „ელოცათ მათთვის, მათი ცოლების, შვილებისა და მოდგმისათვის" და მართლმადიდებლური ეკლესიაც გულმოდგინედ ლოცულობდა სარაის ყაენებისათვის.

თავად ურდოშიც ბევრი ქრისტიანი იყო და აგრეთვე ბევრი მართლმადიდებლური ეკლესიაც გახლდათ, სადაც ღვთისმსახურებდნენ როგორც რუსები, ისე მონგოლები. ყაენთა და ამირების ცოლთაგან ბევრი აღიარებდა ქრისტიანობას. თვით ზოგიერთი ყაენი და მეფისწულიც ქრისტიანი იყო.

ჭეშმარიტებაა, რომ ასეთ ურდოში ავტორიტეტის და პრივილეგიების მქონე მართლმადიდებლური ეკლესია მტკიცედ იდგა თათარ-მონღოლთა მხარეს დასავლეთთან ბრძოლისას.

ანტიურდოული კოალიციის დაშლით გაწყდა ურთიერთობა ევროპასთან და რწმენით და სიმართლით დაიწყეს ყაენის მსახურება, ალექსანდრემ დათესა ის თესლი, რომელიც შემდგომ გაიზარდა და პირფერობის, სისასტიკის, მუხანათობის საშინელ ყვავილად გაიფურჩქნა მოსკოვის პოლიტიკაში.

გადაიტანეს რა რამდენჯერმე მონგოლ-მოსკოვური შემოსევები, გალიჩის და ვოლინის მიწები დასუსტდნენ და რუსეთის მიწების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების ესტაფეტა ლიტვამ აიღო ხელში, რომელსაც უფრო მეტი უფლება ჰქონდა, წოდებულიყო ლიტვურ რუსეთად, ვიდრე რომელიმე ჩრდილო-აღმოსავლეთის სამთავროს.

პირველ რიგში, დინასტიური უფლების ძალით, რადგან კიევის ტახტის ნამდვილი მემკვიდრეები იზიასლავ პირველის შთამომავლები იყვნენ. იმ წესის მიხედვით, რომელიც რიურიკმა დაადგინა და რომლებიც მართავდნენ ტუროვის და პინსკის ოლქებს; მეორე მხრივ, ამ სამთავროების მოსახლეობაში სლავების ეთნიკური უმრავლესობის გამო. დიდი ლიტვა-რუსული სამთავრო აყენებდა ყოფილი სკანდინავიური რუსეთის ერთიანობის აღდგენის პროგრამას და ამ მიწების გაერთიანების გზას დაადგა კიდეც. ამით სამართლიანად აცხადებდა პრეტენზიას მთელ ძველ რუსულ მემკვიდრეობაზე. საინტერესოა, რომ XVI ასწლეულამდე ევროპა იცნობდა ლიტვურ რუსეთს და არაფერი გაეგონა მოსკოვურ რუსეთზე. საერთოდ, ლიტვური რუსეთის შექმნას საფუძველი ჩაუყარა ლიტველმა თავადმა მინდოვგმა, რომელმაც პოლოცკის, ტუროვსკის სამთავროები და ვოლინის სამთავროს ნაწილი შეიერთა. მაგრამ ყველაზე დიდი ღვაწლი ამ საქმეში მიუძღვით გედემის და მის შვილს ოლგერდს. 1320-21 წლებში გედემმა მთლიანად მიიერთა ვოლინსკის და კიევის სამთავროები. 1333 წელს კი გლებ გედენინოვის ძემ შეცვალა მოსკოვის მთავარი ნოვგოროდში. რუსეთის ასეთმა გაძლიერებამ ურდო აიძულა გაეძლიერებინა მოსკოველი ულუსის მხარდაჭერა. აქ საჭიროა, თავად ურდოში შინაგანი და გარეგანი ურთიერთობის განვითარების ისტორიაში მოვახდინოთ პატარა ექსკურსია. ჯერ კიდევ XIII საუკუნის 60-იანი წლების შუალედში ჯუჩის ულუსმა პირველი დარტყმა მიიღო, მას ნოღაი გამოეყო, რომელმაც ძლიერი სახელმწიფო გაერთიანება შექმნა დუნაიდან ჩრდილო კასპიისპირეთამდე. ეს გახლდათ ნოღაის ურდო. მან დაიწყო ულუსთან ჯუჩის კონკურენციის გაწევა პოლიტიკურ გავლენაზე სამხრეთ რუსეთის სამთავროებზე. ამ ასწლეულის მთელი ბოლო მესამედი ამ გაერთიანებებს შორის მძაფრ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ამავე დროს ნოღაის უნდოდა მიეღო მხარდაჭერა, ამიტომ ჯერ ხელს უწყობდა გალიჩ-ვოლინის მიწების გაძლიერებას, შემდეგ კი ლიტვური რუსეთისაც. 1300 წელს მისი სიკვდილის შემდეგ დროებითი სიმშვიდე დამყარდა. მაგრამ უკვე რამდენიმე წლის შემდეგ XIV ს-ის დასაწყისში ჯუჩის ულუსიც დაიშალა თეთრ ოქროს ურდოდ, ცისფერ ურდოდ და ყაზანის სამთავროდ, მათ ერთმანეთს შორის განუწყვეტელი შეხლა-შემოხლა დაიწყეს. ამით ისარგებლეს მინდოვგმა, შემდეგ კი გედენინმა, რუსული მიწები ერთიან ლიტვურ რუსეთად შევსებისას. განსაკუთრებული სიმტკიცით და თანმიმდევრობით ატარებდა ამ პოლიტიკას გედენინის შვილი — თავადი ოლგერდი. იგი დაინიშნა ტვერის მთავრის ქალზე ულიანა ალექსანდრეს ასულზე და ამით თავის მხარეს გადმოიყვანა ტვერის მთავრებიც, რომლებიც ანტიურდოულ პოზიციაზე იდგნენ.

ამგვარად, XIV საუკუნის შუა წლებში აღმოსავლეთ ევროპაში სკანდინავიური ნარჩენებისგან გაერთიანების ორი ცენტრი წარმოიშვა, ლიტვური რუსეთი და მოსკოვური რუსეთი, რომელიც იყო ოქროს ურდოს ერთ-ერთი ულუსი, იგი ეთნიკურად მრავალეროვანი გახლდათ, უმეტესწილად კი თურქული, უგროული თათარ-მონგოლური სისხლის დიდი შენარევით.

**ვლადიმერ ხვედელიძე**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

SPORT **სპორტის სამყარო** SPORT

# თბილისის „დინამო“ საქართველოს თასის ფინალშია

თბილისში საკუთარ მოედანზე „დინამოს“ დამარცხებამ გორის „დილასთან“ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ყველას ეგონა, რომ „დინამო“ ამ კრიზისს ვერ დასძლევდა და როგორც პირველი თასის გათამაშებისას, წელსაც ფინალში ვერ გავიდოდა. განსაკუთრებით დიდი ამბიციები ეტყობოდათ გორის „დილას“ გულშემატკივრებს. მათ ილუზიები შეექმნათ, რომ „დილა“ სახლში დამაჯერებლად შესძლებდა „დინამოელთა“ დამარცხებას (ყოველ შემთხვევაში ფინალში გასვლას მაინც).

ალბათ, ამან გამოიწვია გორის „დილას“ სტადიონზე არნახული გულშემატკივართა მოსვლა განმეორებით მატჩზე. გულშემატკივრებმა იციან, რომ გორში არც ისე ადვილია სტუმართა გუნდის თამაში. „დილას“ საკმაოდ ემოციური გულშემატკივარი ჰყავს. მათი ქომაგობა უხერხულობაში აგდებს სტუმართა გუნდს. ალბათ, „დილასაც“ ამის იმედი ჰქონდა.

მატჩმა დაგვანახა, რომ გორის „დილა“ კლასით ჩამოუვარდება თბილისის „დინამოს“. რაც არ უნდა კრიზისში იმყოფებოდეს „დინამო“, იგი მაინც შესძლებს რთული სიტუაციიდან გამოსვლას. იგივე მოხდა ამჯერადაც. „დინამომ“ თავისი შედარებით მაღალი კლასით შეძლო „დილას“ დამარცხება. თუმცა, იმ დღეს დინამოელთათვის ერთ-ერთი რთული მატჩი იყო. განსაკუთრებით ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

გორის „დილამ“ პირველ ტაიმში ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია მრისხანე მეტოქეს და ტაიმი ნულოვანი ფრედ დაასრულა. თამაშის მეორე ნახევარში „დინამომ“ მოედანზე ნიტაიშვილი შემოიყვანა, რითაც საგრძნობლად გააააქტიურა შეტევის პოტენციალი. ამანაც არ დააყოვნა და ცოტა ხანში აშვეთიამ თავის ჩვეულ სტილში ანგარიში გახსნა. „დინამოელებს“ კიდევ რამდენჯერმე შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ მათ შეტევებს მეტოქეთა დაცვა და განსაკუთრებით მეკარე იგერიებდა. თუმცა, ამ ზეწოლას მათაც ვერ გაუძლეს და სულ ცოტა ხანში „დინამო“ უკვე ორით ნოლს იგებდა.

გორის „დილამ“ რამდენიმე შეცვლა გააკეთა, რითაც გააააქტიურა თავის შეტევის პოტენციალი. რამდენიმე მწვავე შეტევის შემდეგ გამოსვლაზე შეცდა „დინამოელთა“ გოლკიპერი, რითიც ისარგებლა გორის „დილას“ თავდამსხმელმა და ანგარიში მინიმუმამდე დაიყვანა. სულ ცოტა ხანში „დილას“ შეეძლო ანგარიშის გაქვითვა. სტუმართა მეკარესთან ერთი-ერთზე გასულმა რამდენიმე გორელმა ფეხბურთელმა ვერ შეძლო რეალური მომენტის გამოყენება. როგორც ფეხბურთში ხდება ხოლმე, ვერ გაიტან გაუშვებ გოლს, ისე მოუვიდათ გორელებს. „დინამომ“ ისარგებლა რა მცველების შეცდომით, ანგარიში სამამდე გაზარდა, რითაც „დინამოს“ შანსი მიეცა ფინალში გასვლისა.

ამის შემდეგ, თამაშმა საკმაოდ მწვავე ხასიათი მიიღო. თუმცა, მატჩის არბიტრმა ყველაფერი ილონა, რომ მატჩი ბოლომდე მიეყვანა. იყო რამდენიმე მცდელობა მაყურებელთა მხრიდან არაკორექტურული მოქცევისა. თუმცა, თამაშის ორგანიზატორებმა ყველაფერი ილონეს მატჩის ბოლომდე მშვიდობიანად დამთავრებისთვის.

# ტურნირი, ბრძოლები წესების გარეშე გრძელდება

როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, ყოველ კვირას იმართება სპორტის სასახლეში ტურნირი ბრძოლები წესების გარეშე. სპორტის ეს სახეობა ჩვენთვის უცხო ხილია, მაგრამ როგორც ეტყობა ქართველებიც საკმაოდ სწრაფად ითვისებენ ამ სპორტს.

გასულ კვირას გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები. პირველ შეხვედრაში კიგ-ბოქსინგისტმა დათო დავითაშვილმა მთაწმინდის პოლიციის თანამშრომელს, მეტსახელად „უროს“ მოგების შანსი არ დაუტოვა. თუმცა, შემდეგ ტურში იგი დამარცხდა თელაველ დათო მეხრიშაიშვილთან. მეორე ალტერნატიულ შემთხვევაში აკაკი კიკნაძემ თომა გოგნაძე გალახა. თუმცა, ეს უკანასკნელი შეხვედრა მეტად უინტერესოდ წარიმართა. ამ მატჩის გამარჯვებულის გამოსავლენად საჭირო გახდა დამატებითი სამი წუთის გარდა მსაჯების გადაწყვეტილებაც.

შემდეგ გაიმართა ძირითადი ბრძოლების ჩხუბები. პირველად, რამაზ ბუზარიაშვილი და იმედა ნარიმანიძე გამოვიდნენ. ბუზარიაშვილმა დაჯაბნა თავისი მეტოქე, ბევრიც ურტყა რამაზს, მაგრამ რატომღაც შემდეგი ბრძოლა ველარ შეძლო და მას დათო დავითაშვილი შეენაცვლა.

მომდევნო წყვილში გამარჯვების მთავარ კანდიდატად თენგიზ თევდორაძე ითვლებოდა. მან სულ რამდენიმე წამში მოათავა მეტოქეებთან თავისი საქმე და ფინალში თელაველ გოჩა მეხრიშვილს შეხვდა. როგორც წინა ტურნირებმა გვიჩვენა, კახელებმა კარგად აითვისეს სპორტის ეს სახეობა და ამჯერადაც პირველობა არავის დაუთმეს. თენგიზ თედორაძემ ძალების დაძაბვის გარეშე დაამარცხა თავის მეტოქე და მესამე ტურის გამარჯვებული გახდა. მას გამარჯვების პრიზი გადასცა ცნობილმა მომღერალმა პაატა ბურჭულაძემ.

ბრძოლა წესების გარეშე გრძელდება და მეოთხე ტური სპორტის სასახლეში ათ მაისს გაიმართება.

## NEWS NEWS NEWS NEWS NEWS NEWS

სამხრეთ აფრიკულმა ლუდის კომპანიამ „SAB“-ი, გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო საფეხბურთო ჟურნალისტის გამოსავლენად. საუკეთესო ჟურნალისტის გამოსავლენად ყურადღება სხვადასხვა ფაქტორებს მიექცევა და გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციებში გამოვლინდებიან. ესენია: მატჩის საუკეთესო ტელე და რადიო რეპორტაჟი, საუკეთესო ინტერვიუ, საუკეთესო ტელესიუჟეტი და საუკეთესო ანალიტიკური წერილი. გადაწყვეტილების გამოტანისას დიდ როლს ითამაშებს ავტორის სტილიც. გამარჯვებულები მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, სექტემბერში გამოვლინდებიან. თითოეულ მათგანს საჩუქრად სამ-სამი ათასი ამერიკული დოლარი და კომპანიის მიერ სპეციალურად ჩამოსხმული 100 ლიტრი ლუდი გადაეცემა.

❑ ❑ ❑

როგორც ჩანს, დსთ-ს მთავრობათა საფეხბურთო ტურნირი ტრადიციული ხდება. ალბათ გახსოვთ, რომ შარშან ამ ტურნირში საქართველოს პარლამენტის ნაკრებიც მონაწილეობდა და საკმაო წარმატებითაც გამოვიდა. ჩვენმა პარლამენტარებმა საპატიო მესამე ადგილი დაიკავეს. წელს ტურნირი კიდევ ერთხელ გაიმართება. მონაწილეთა რაოდენობა კი უფრო მოიმატებს. მოსკოვში 18 გუნდი ჩავა. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, საქართველოს პარლამენტის ნაკრები ისევ აპირებს ტურნირში მონაწილეობის მიღებას და უკვე ვარჯიშიც დაუწყია. ქართველ პარლამენტარებს, ისევე როგორც შარშან, წარსულში თბილისის დინამოს კაპიტანი, ეხლა კი პარლამენტის სპორტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, მანუჩარ მაჩაიძე უთავკაცებს. ტურნირში სხვა საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელებიც გამოვლენ. ესენი არიან: სერგეი ოლშანსკი, ევგენი ლოვჩევი, ივან ჟეკიუ, იური გავრილოვი, ვლადიმერ პილგუი და სხვები. მონაწილეობის სურვილი გამოთქვა რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ბორის იგნატიევმაც. ტურნირის მთავარ მსაჯად დაინიშნა სერგეი ჰუსაინოვი, ხოლო მისი გენერალური სპონსორია ამერიკული კომპანია „ფილიპ მორისი“.

### სიტი კიდევ უფრო უძლურდება

გერმანიის ბუნდესლიგის ლიდერის, კაიზერსლაუტერნის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ გუნდს ინგლისური მანჩესტერ სიტის გერმანელი ლეგიონერის, უვე როსლერის შეძენა სურს და მზად არის მასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმოს. როსლერმა მანჩესტერ სიტიში ბოლო ოთხი სეზონი გაატარა, რომელთა განმავლობაშიც იგი ჯერ პირველ დივიზიონში ჩამოქვეითდა, ხოლო ეხლა მეორეში გადასვლაც თითქმის გაინალდა. ამ მიზეზთა გამო, ცხადია, რომ როსლერმა გერმანიაში გადასვლაზე უარი არ უნდა თქვას. მით უმეტეს, რომ მიმდინარე სეზონის დასასრულს მის კონტრაქტს მანჩესტერ სიტისთან ვადა გასდის. რაც შეეხება კაიზერს, ჯერჯერობით უცნობია, თუ რა თანხა დაუჯდება მას თავისი თანამემამულის შეძენა.

# „იუვენტუსი“ თითქმის ჩემპიონია

ევროპაში რამდენიმე ქვეყნის ჩემპიონატი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. ფეხბურთის მოყვარულთათვის ამ ბოლო წლებში გამოირჩევა იტალიის ლიგის გათამაშება. სიმართლე ითქვას, ევროპის სხვა საფეხბურთო ქვეყნებში საკმაოდ დიდი თანხები გაიღეს თავიანთი ქვეყნის ჩემპიონატში მოთამაშე გუნდების გასაძლიერებლად. ეს გამოიხატება ამა თუ იმ ძლიერი ფეხბურთელების შეძენით, მაგრამ იტალიის ჩემპიონატი მაინც ფეხბურთის გულშემატკივრებში განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. როგორც ეტყობა, იტალიას ვარსკვლავების შეძენის იმხელა თანხების ტემპი აქვს აღებული, რომ რამდენიმე წლის მანძილზე მათი ჩემპიონატი ყველაზე საინტერესო და დაძაბული იქნება ფეხბურთის სამყაროში. ამიტომ ბუნებრივია, გულშემატიკივართა ინტერესი ძალზე დიდია ამა თუ იმ გუნდების მიმართ. ეს გამოიხატება განსაკუთრებით წლევანდელ სეზონში.



გულშემატკივართა რიგები ორ ბანაკად გაიყო. წლევანდელ სეზონში იტალიის ჩემპიონობისთვის იბრძვის ტურინის „იუვენტუსი“ (შარშანდელი იტალიის ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგის თასის მფლობელი) და მილანის „ინტერი“. ორივე გუნდის რიგებში თამაშობენ ფეხბურთის ბოლო დროის ვარსკვლავები. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსნი არიან ტურინელთა რიგებში: ალექსანდრო დელ პიერო და ფეხბურთის ვუნდერკინდად შერაცხული რონალდო. ამ ფეხბურთელების დიდი დამსახურებაა, რომ ეს გუნდები წლევანდელ გათამაშებაში დიდი მიზნებისთვის იბრძვიან. ისინი არა მარტო იტალიის ჩემპიონატში გამოირჩევიან თავიანთი მაღალი კლასით, არამედ, ევროპაშიც მათი ამბიციები საკმაოდ მაღალია. ასევე მათ გუნდებსაც გააჩნიათ საკმაოდ დიდი მიზნები.

„იუვენტუსი“ თუ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა და ამ თასის მოპოვების რეალური შანსი აქვს, „ინტერი“ უეფას თასის ფინალშია და „იუვენტუსივით“ მასაც საკმაოდ დიდი შანსი აქვს უეფას თასის მოსაპოვებლად.

ყოველივე ამის ფონზე საინტერესო იყო ამ გუნდების შეხვედრა იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში. როგორც გულშემატკივრები ინფორმირებულები არიან, ეს გუნდები მზად არიან იტალიის ჩემპიონობის მოსაპოვებლად.

ამ მატჩს უნდა გადაეწყვიტა, თუ ვინ გახდებოდა იტალიის წლევანდელი ჩემპიონატის გამარჯვებული, „იუვენტუსი“ შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. მათ ამ თამაშში ფრეც აკმაყოფილებდათ, რამეთუ უშუალო კონკურენტთან ფრეს შეეძლო „იუვენტუსისთვის“ საკმაოდ დიდი შანსები მიეცა ჩემპიონობისთვის ბრძოლაში, რაც შეეხება „ინტერს“, მათ აუცილებლად მოგება ესაჭიროებათ. „ინტერი“ მოგების შემთხვევაში უშუალო კონკურენტს ორი ქულით გაუსწრებდა და ჩემპიონატიდან გამომდინარე იგი თითქმის ჩემპიონი ხდებოდა (ყოველ შემთხვევაში მას დიდი შანსი უჩნდებოდა კარგა ხნის შესვენების შემდეგ „სკუადრა აძურას“ ნომერ პირველი გუნდი გამხდარიყო).

მატჩი კი „იუვენტუსის“ იერიშებით დაიწყო. ტურინელ ფეხბურთელებს ეტყობოდათ, რომ მათ არ უნდოდათ ჩემპიონატის გამოსავლენად ბოლო ტურამდე მიეყვანათ საქმე. „ტურინელთა“ მთავარმა მწვრთნელმა მატჩის დასაწყისში საკმაოდ კარგი ტაქტიკა აირჩია. „იუვენტუსი“ მჭიდროდ მეურვეობდა მოწინააღმდეგე გუნდის თავდამსხმელებს. განსაკუთრებით რონალდოს მიმართ. როგორც იცით, რონალდო „ინტერის“ თავდასხმის მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენს. მისი თამაშიდან მოწყვეტის შემთხვევაში „მილანელთა“ გუნდი მთლიანად შეტევის გარეშე რჩებოდა, რაც პირველი ტაიმის განმავლობაში საკმაოდ ნათლად გამოჩნდა. აქვე აღსანიშნავია „იუვენტუსის“ მცველების საკმაოდ უხეში თამაში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის მიმართ. განსაკუთრებით უხეშობით გამოირჩეოდა „ტურინელთა“ მცველი ტორიჩელი. მატჩის არბიტრი ოდნავ ყურადღებით რომ ყოფილიყო, „იუვენტუსის“ მცველების უხეშობის მიმართ მას რამდენჯერმე შეეძლო ყვითელი ბარათის ჩვენება.

მოაგვარა რა „იუვენტუსმა“ რონალდოსა და მილანელთა თავდასხმის ნეიტრალება, თავად შეუტია მოწინააღმდეგე გუნდს. მათ რიგებში გამოირჩეოდა დელ პიერო და ზინედი ზიდანი. ისინი მოედნის ცენტრში განაგებდნენ ტურინელთა შეტევების მიმართულებას. პირველი ტაიმის ნახევარში დელ პიერომ მარცხენა ფრთიდან საკმაოდ მწვავედ შეუტია. გასცდა რა იგი რამოდენიმე ფეხბურთელს, მეკარის საჯარიმოს კუთხედან კარის მიმართულებით დაარტყა. ბურთი მოწინააღმდეგე გუნდის მცველს მოხვდა. უკან დაბრუნებული ბურთი კი, ისევ მას მიუვიდა. მანაც ჩვეული ოსტატობით კარის დაუცველ კუთხეში გაგზავნა იგი და ანგარიშიც გაიხსნა. ამის შემდეგ მილანელებს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ და ისინიც მასირებულ შეტევებზე გადავიდნენ. თუმცა, კარის აღების რეალური შესაძლებლობა მათ ნაკლებად ჰქონდათ, მხოლოდ რონალდოს ინდივიდუალური გარღვევის შემდეგ შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ „ინტერის“ სამწუხაროდ ბურთი მცირე მანძილით აცდა კარს. გუნდებიც ამ ანგარიშით წავიდნენ შესვენებაზე.

შესვენების შემდეგ „ინტერი“ მკვეთრად გააქტიურდა. ეტყობოდა, რომ ისინი უკან არ დაიხევდნენ გამარჯვების მოსაპოვებლად. თუმცა, „იუვენტუსის“ დაცვა კვლავ უშეცდომოდ თამაშობდა. რაც უფრო ახლოვდებოდა თამაშის დასასრული, [illegible] სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებდა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ მსაჯის არაკომპეტენტური მოქმედება. მან ვერ აიღო მატჩის სადავეები ხელში და თამაშიც საკმაოდ გაირთულა. ერთ-ერთ ეპიზოდში „იუვენტუსის“ ჰოლანდიელმა ლეგიონერმა დევიდსმა უხეშად ითამაშა. სამწუხაროდ, მსაჯმა ეს ეპიზოდი ვერ დაინახა და ამისგან გამოწვეული აყალმაყალის გამო „ინტერის“ ფეხბურთელი დასაჯა ყვითელი ბარათით. ამის შემდეგ, თამაშმა საკმაოდ მძიმე ხასიათი მიიღო. ფეხბურთელები უკვე ერთმანეთს აღარ ინდობდნენ. მეორე ტაიმის სამოცდამეთხუთმეტე წუთზე რონალდო „იუვენტუსის“ მცველებმა აკრძალული ხერხით შეაჩერეს საჯარიმოში. სამწუხაროდ, მატჩის არბიტრმა არანაირი რეაგირება არ მოახდინა ამ ეპიზოდზე. სამაგიეროდ, ამ ეპიზოდის შემდეგ განვითარებული შეტევის შემდეგ ტურინელთა კარში დანიშნა თერთმეტმეტრიანი. ალბათ, ღმერთმა არ ინება „ინტერის“ გაწირვა და დელ პიეროს მიერ დარტყმული პენალტი მოიგერია „ინტერის“ მეკარემ. კიდევ უფრო გართულდა თამაში მას შემდეგ, რაც არბიტრმა მოედნიდან გააძევა ტურინელთა მოთამაშე ზე ელიასი. უნდა ითქვას, რომ ზე ელიასი ნამდვილად არ იმსახურებდა წითელ ბარათს.

თამაში რაც უფრო დასასრულს უახლოვდებოდა, მით უფრო იძაბებოდა. ტურინელებს უკვე ფრეც ხელს აძლევდა, მაგრამ იუვენტუსის დაცვა იმ დღეს საკმაოდ დამაჯერებლად თამაშობდა.

მატჩის ბოლო წუთები „იუვენტუსის“ კარნახის ქვეშ მიმდინარეობდა. ისარგებლა რა ინტერის მოთამაშეების უკანმოუხედავი შეტევებით, „იუვენტუსმა“ რამოდენიმე მწვავე კონტრშეტევა განახორციელა. „იუვენტუსის“ სამწუხაროდ მათ ვერ შეძლეს რამდენიმე რეალური მომენტის გამოყენება. სამაგიეროდ ტურინელები მთლიანად აკონტროლებდნენ მატჩის სადავეებს და ყველანაირად ცდილობდნენ ანგარიშის შენარჩუნებას, რაც მათ მშვენივრად გამოუვიდათ.

მაშ ასე, იტალიის ჩემპიონატში სამი ტურილა დარჩა გასამართავი. „იუვენტუსს“ ორი მატჩის მოგებაღა სჭირდება, რომ შეინარჩუნოს ჩემპიონის ტიტული. თუ ისინი ამას შესძლებენ და თან ჩემპიონთა ლიგის თასის ფინალში გამარჯვებულნი გამოვლენ, მაშინ, „იუვენტუსი“ ამ სეზონს მაღალ მაჟორიტარულ ნოტაზე დაამთავრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ინტერვიუ*

# საქართველოში ინდუსტრია მშენებლობას ვერ მიჰყვება

*მშენებლად დაბადებული — ასე იცნობენ ბატონ სოსო ფანჩულიძეს საქმიან წრეებში და არა მარტო იქ... ეს გახლავთ კაცი, რომელსაც ასობით სასიცოცხლო ობიექტი აუგია, რომელსაც 50 წელზე მეტი მშენებლობაზე გაუტარებია. ალღოთი გრძნობს სად რაა საჭირო — ამბობენ.*

**შტრიხები პორტრეტისათვის**

იოსებ (სოსო) ფანჩულიძე დაიბადა 1935 წლის 28 აპრილს, დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. დღესდღეობით შ. პ. ს. ფირმა „იმედი“-2-ის პრეზიდენტი და ფირმა „სატიოს“ გენერალური დირექტორი გახლავთ. მინიჭებული აქვს დიდი კონსტრუქტორის, დამსახურებული ინჟინრის წოდება. ჰყავს მეუღლე — ლამარა კორსავა (ექიმი), ორი ქალიშვილი (ექიმი) და ერთი შვილიშვილი, 5 წლის ნუცა კოხრეიძე.

**— ბატონო სოსო, „თეთრი ქალაქის“ მშენებლობის იდეა უკვე კარგა ხანია არსებობს, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ თქვენ მოწვეული ბრძანდებით სტუდიის მთავარ ინჟინრად, კონკრეტულად ამ ქალაქის მშენებლობა, რა ფუნქცია აქვს მას ან როდის იწყება სამუშაოები?**

— „თეთრი ქალაქი“ მოიცავს ტერიტორიას მუშთაიდიდან ბავშვთა სამყარომდე „დინამოს“ სტადიონის ჩათვლით. ეს გახდება კულტურისა და განათლების ცენტრი, ანუ როგორც ჰოლივუდი. „თეთრი ქალაქი“ ანუ ქალაქში იქნება მეორე ქალაქი, რომელიც „გაანათებს“ თბილისს.

როდესაც ჩვენი პრეზიდენტი ე. შევარდნაძე გაეროდან დაბრუნდა, ექვა, სპორტი, ბიზნესი და კულტურა უნდა შეერწყას ერთმანეთსო და გაჩნდა იდეაც ამ ქალაქის აშენებისა: გასულ 23 აპრილს პრეზიდენტმა მოაწერა ხელი დადგენილებას და მერიას მითითება მისცა, სამი წლის განმავლობაში მომთავრებულიყო მოსამზადებელი (პროექტი, ბიზნესგეგმა და ნაწილობრივ, რაც საკუთარი ძალით მცირე ობიექტების აგება მოხერხდება) სამუშაოები. პროექტი უკვე თითქმის დასრულებულია, ბიზნესგეგმა კეთდება, რაც შეეხება თავად სამშენებლო სამუშაოებს, ჯერჯერობით არ დაწყებულა, რადგან საჭიროა სპონსორის პოვნა.

**— ეს ადგილი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, სადაც ახლა ვიმყოფებით, ერთ-ერთი პრესტიჟული უბანია თბილისისა, ადრე როგორც ვიცით, მდინარე მტკვრის საშუალებით ტივებით პროდუქტი, სხვადასხვა საქონელი მოჰქონდათ და აქ ცლიდნენ, დღეს სწორედ ამ ადგილას მშენებლობა მიმდინარეობს, თანაც ძალზე სერიოზული, გრანდიოზული და ორიგინალური პროექტით, მშენებლობის მოთავე ისევ თქვენ ბრძანდებით. რას აშენებთ?**

— მართალია, აქ იცლებოდა თბილისისათვის ტივებით შემოტანილი საქონელი, აქედან გამომდინარე, ჩამოყალიბდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სატიო“. მისმა დამფუძნებლებმა მშენებლადაც მე ამირჩიეს და დირექტორადაც. ჩვენ ვაშენებთ უზარმაზარ სუპერმარკეტს, რომელიც უმაღლეს დონეზე მოემსახურება, როგორც დედაქალაქის მოსახლეობას, ისე რაიონების მოსახლეობასაც, რომლებსაც ჭარბი პროდუქცია გააჩნიათ და გაყიდვა სურთ. მათ დაბალ ფასებში მიეცემათ, როგორც დახლები, ისე კეთილმოწყობილი მაღაზიები და დარბაზები.



ფანჩულიძეების გერბი

**— ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტი მოიგონეთ, რომელიც აგეთ და თქვენი, როგორც მშენებლის კარიერას ამშვენებს?**

— ძალიან მიყვარს სპორტი, განსაკუთრებით ფეხბურთი. ერთ დროს შოთა იამანიძესთანაც კი ვსწავლობდი, როცა ინსტიტუტს ვამთავრებდი, სადიპლომო ნაშრომად „დინამოს“ სტადიონის პროექტიც გავაკეთეთ, 1975 წელს კი მისი მშენებლობაც დავიწყეთ. ვთვლი, რომ ჩემი ნამოღვაწარიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანიც სწორედ „დინამოს“ სტადიონი გახლავთ. გავიხსენებ საცურაო აუზსაც სანაპიროზე. არქიტექტორ ყაველაშვილთან ერთად დავამუშავეთ პროექტი და შემდეგ დავიწყეთ ჩეხური ტიპის ცხრასართულიანი სახლების მშენებლობა.

**— თქვენი აგებული ობიექტებიდან განსაკუთრებული სიმრავლით საბავშვო ბაღები და სკოლები გამოირჩევა. ეს შემთხვევითობაა, თუ ბავშვებისადმი განსაკუთრებულ სიყვარულს გრძნობთ?**



— ბავშვები მართლაც განსაკუთრებულად მიყვარს და საერთოდ, ახალგაზრდები. როცა ჩემი შვილები სკოლაში სწავლობდნენ, ყველა ექსკურსიაზე დავყვებოდი, ჩემი ბავშვების მეგობრებთან ვმეგობრობდი კიდეც. სკოლებზე ზრუნვაც, ალბათ, აქედან მოდის. ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა სკოლის დირექტორებთან, როცა ფონდირებული მასალების შოვნა პრობლემა იყო, ბიუროს დადგენილებით, ხანაც საკუთარი ინიციატივით, სკოლებს მასალებით, მუშახელით, სპეციალისტებითაც ვეხმარებოდი.

**— მშენებელი „შემთხვევით“ გახდით, თუ იყო თქვენს ცხოვრებაში რაღაც ისეთი, რამაც ასეთი რთული და ვაჟკაცური პროფესიის არჩევისკენ გიბიძგათ?**

— ჩემი გვარი — ფანჩულიძე მესხური წარმოშობისაა და დაფანჩულიდან მოდის. გვყავდა ასეთი წინაპარი — გიორგი დაფანჩული, რომელსაც დიდი წვლილი აქვს შეტანილი მესხეთის მშენებლობაში. მე ფანჩულიძეთა გვარის გერბიც მაქვს.

ინსტიტუტში რომ ვსწავლობდი, ხშირად ჩავდიოდი სოფელში და დედას ვეხმარებოდი. ამ პერიოდში შენდებოდა ჩვენს რაიონში უზარმაზარი ელექტროსადგური, აქ იყვნენ ისეთი გამოცდილი მშენებლები, როგორიცაა მღებრიშვილი, ყაველაშვილი, მაჭავარიანი. მათი მუშაობა მანცვიფრებდა. ახლა ვხუმრობ ხოლმე: აი, მაშინ მიყივლა მშენებლის სისხლმა-მეთქი. სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე და სადაც მინდოდა, იქ განვაგრძობდი სწავლას, მაგრამ მე სამშენებლო ფაკულტეტი ავირჩიე და მაშინდელ რკინიგზელთა ინსტიტუტში შევედი.

**— ყველა ადამიანი ნატრობს რაღაცას, ალბათ, თქვენც. თქვენი პროფესიიდან გამომდინარე, თუ გიოცნებიათ რაიმე დიდის, გრანდიოზულის აგებაზე და ჯერ ვერ აგიგიათ?**

— ცხოვრებაში რისი აგების ნატვრაც მქონია, ყველაფერი შემსრულებია. ახლა კი საქართველოში მშენებლობას ინდუსტრია ვერ მიყვება ფინანსების სიმცირის გამო და სამწუხაროდ, მხოლოდ სარემონტო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები მიმდინარეობს.

**— ყველაზე მეტად რაზე გწყდებათ ცხოვრებაში გული?**

— უკვე გითხარით, ჩემი შვილების მეგობრებთან ახლოს ვიყავი-მეთქი. ჩემს გოგონას, ნატოს მეგობარი ჰყავდა — რუსიკო რიგვავა — დიდი, გამოჩენილი ოჯახის შვილი იყო (თუმცა თავად მის ოჯახთან ახლო ურთიერთობა არ მქონია). რუსიკო კეთილშობილების განსახიერება იყო, ქართველი ქალის სიმბოლო. მისმა ნაადრევმა გარდაცვალებამ ძალიან გვატკინა გული მეც და ჩემს ოჯახსაც. უსაზღვრო სევდა და ტკივილი დამიტოვა ჩემი მეგობრის ყიული შარტავას გარდაცვალებამ.

**— ასე სევდიანად ნუ დავასრულებთ, ბატონო სოსო, იმედიანი სიტყვა გვითხარით სამომავლოდ.**

— მე ოპტიმისტი კაცი ვარ. ან როგორ შეიძლება ეს ასე არ იყოს. იყო დრო, 12 საათი პურის რიგში ვმდგარვარ წვიმაში და არ ამიღია, პური კი შეიარაღებულ ბანდას მიჰქონდა. რაც პრეზიდენტი საქართველოში ჩამოვიდა, სიტუაცია ყოველდღე იცვლება სასიკეთოდ. მუშაობის საშუალებაც მოგვეცა. ადრე რომ ავტომატის გამაყრუებელი სროლა იყო, ყველა კარგად ხედავს, რომ ახლა აღარ არის, არც ქუჩაში გამოსვლისა ეშინია ვინმეს. მე „ვინმე-სტი“ არასოდეს არ ვყოფილვარ, მაგრამ კეთილ საქმეს ყველამ რეალურად უნდა შეხედოს. ჩემი შრომით ათასობით კაცი დასაქმდა სუპერმარკეტებში თუ ბაზრობებზე, ამის შემდეგ უფრო მეტს ავაშენებ და გავაკეთებ ჩემი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ესაუბრა
**ნანა ძველაია**

**მხატვრობა**

# „პარაკლეტოსი ანუ ნუგეშისმცემელი“

გაზაფხული მოვიდა და თბილისიც გამოცოცხლდა. აპრილმა დიდი ზეიმი გაუმართა ჩვენს ქალაქს. ახმაურდნენ საკონცერტო დარბაზები, გააქტიურდა საგამოფენო ცხოვრება. თბილისის გალერეები ერთმანეთზე საინტერესო გამოფენას აწყობენ. 24 აპრილს, დღის 2 საათზე სურათების ეროვნულ გალერეაში გაიმართა „პეიზაჟის“ გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა პერიოდის წარმომადგენელ მხატვართა ნამუშევრები. მათ შორის გამოფენილი იყო დავით კაკაბაძის, ილია ზდანევიჩის, ნათელა იანქოშვილის, ელენე ახვლედიანის ნამუშევრები. სულ რაღაც ორი საათის შემდეგ თანამედროვე ხელოვნების გალერეაში გაიხსნა თანამედროვე ქართული ფერწერის ისეთი შესანიშნავი წარმომადგენლების ჯგუფური გამოფენა, როგორებიც არიან: გია ბუღაძე, ჯემალ კუხალაშვილი, მამუკა ცეცხლაძე, ირაკლი სუთიძე, შალვა მატუაშვილი და ა. შ. ეს ყველაფერი უაღრესად შთამბეჭდავი იყო, დიდი ემოციური დატვირთვით. ამდენ ორიგინალურ და საინტერესო შეხედულებების მქონე მხატვართა ნამუშევრებმა იმდენად შეიწოვა ჩემი ენერგია, რომ გადაწყვეტილება წავსულიყავი ქარვასლაში, სადაც ხელწერის გამოფენა მიმდინარეობს, შევცვალე და გეზი შინისაკენ ავიღე, რადგან მეორე დღეს, 25 აპრილს ჩემთვის და ბევრისთვის საყვარელი მხატვრის გია ბუღაძის გამოფენისთვის ძალა მომეკრიბა. გამოფენაზე, ძველ გალერეაში მისი ახალი სერია „პარაკლეტოსი“ უნდა ყოფილიყო გამოტანილი.



გია ბუღაძის ნამუშევრები თითქმის ყოველთვის მოითხოვს დიდ სივრცეს და ყოველთვის გათვლილია ხედვის გარკვეულ წერტილზე. მაგრამ უცბად ძველი გალერეის სრულიად პატარა სივრცეში ექცევა ცამეტ ნაწილიანი სერია. ვიდრე მოვიდოდი, ცოტა არ იყოს მიკვირდა კიდეც, როგორ „ჩაეტეოდა“ ეს სურათები გალერეის მცირე დარბაზში, მაგრამ გია ბუღაძე ყოველთვის გია ბუღაძეა, მან ყოველთვის იცის რა უხდება და თავის სითბოთი გაჯერებულ ნამუშევარს სრულიად შესაბამისი გარემო შეუქმნა. მან ამ მცირე დარბაზში სერიის შემადგენელი ნაწილების ისეთი კონსტრუირება გააკეთა, ნუგეშისმცემელს რომ შეეფერება.

...როდესაც გია ბუღაძის ნამუშევრებს აკვირდები, იქნება ეს „მოქცევაი ქართლისაი“, „ათცამეტი მამა“, „აჰამ კარა“, „ანანკეფაბადება“ და სხვა, მნახველი ხდები სრულიად თავისუფალი და სუვერენული მხატვრის სულიერი თხზულებების მიმართ განსხვავებულ ფასებში. ამ ნაწარმოებებში მხატვარი გადაედინება და ბრუნდება ერთი უკიდურესობიდან მეორეში, ან ფრთაშესხმულია ან აღელვებული, ან ნაღვლიანი. მაგრამ მას ყოველთვის ეძლევა ადამიანის განსხვავებული სურვილების გადალახვის ძალა. ამის საფუძველზე „პარაკლეტოსი“ უკვე წარმოადგენს ადამიანური გამოხატულების იმ „დოკუმენტს“, როგორიც მის შემოქმედებაში არსად არ არის. ის ზღაპრული იდუმალებით ხსნის ადამიანურ სპირიტუალობას. ორი, მე ვიტყოდი ფერთა ზღვიდან ამოღვრილი ფიგურის სტრუქტურა, რომელიც სერიის დომინანტს წარმოადგენს, სრულიად თავისუფალია, მხედველობისგან დამოუკიდებელი ფერებით დაკავშირებული.

ამ სერიაში ადამიანის სულიერი მდგომარეობის პოეტური ფორმირება ხდება: მზიანი დღე (სინათლე ადამიანის სულში. შესაბამისად სჭარბობს ყვითელი ფერი), გაავდრებული დღე (უფრო ბნელი და სევდით მოსილი), გაზაფხული (სულის ნუგეშისცემა)... ასეთი ხერხებით მიუწვდომელი იდეები იმდენად მისაწვდომ ფორმებში გამოიხატება, რამდენადაც მხატვარი მას ადამიანის გონებაში გასატარებლად ქმნის. ფორმა ჩვენთვის გასაიდუმლოებულია, რადგან ის ხდება გამომსახველი იდუმალებით მოცული ძალისა. მხოლოდ ამის საშუალებით ხდება ამოხსნა იმ შეუცნობელი ძალისა, რომელსაც უხილავ ღვთიურობას დავარქმევდი. მე ვფიქრობ, რომ სწორედ აქ ახდენს მხატვარი თავისი შინაგანი-ჭეშმარიტისა და შინაგანი-მისტიკურის შერწყმას. ამ შემთხვევაში ნუგეშისცემის იდეა, რომელიც მხატვრის სულის მაინსპირებელია, წარმოადგენს ხიდს მიუწვდომელიდან მისაწვდომამდე.

მიუწვდომელს აქ, ამ სერიაში მისი პეიზაჟი ქმნის. მხატვარი თავისი ინტერესების კონცენტრირებას სწორედ მასზე ახდენს. ეს არ არის მაგალითი ნამდვილი პეიზაჟისა. ეს მხოლოდ ფერების გაორკესტრებაა, იმ ფერების, რომლებიც მთლიანად ბუნების მაგალითზე იხსნება და წესრიგდება მუსიკალური კომპოზიციებისთვის დამახასიათებელი ჰარმონიული ტონალობის გააზრებით.

აქაც, ისევე როგორც მის სხვა ნამუშევრებში, შესაგრძნობია პარალელურობა მუსიკასთან და მის მიმართ ღრმა თაყვანისცემა.

ვფიქრობ, რომ „პარაკლეტოსში“ ბევრად უფრო ძლიერია ბუნება, ვიდრე მის სხვა ნამუშევრებში. აქ უფრო მეტია მისი განცდა, მისი ნათელი არსებობა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბუნების სპირიტუალობა საოცრად ინტელექტუალურად არის გააზრებული.

სურათები მათთვის წინასწარ განსაზღვრული შინაგანი პროექტიდან გამომდინარე თითქოს აბსტრაქციებია, აბსტრაგირების პროცესია ბუნების თითქმის ნატურალური ფორმებისა, მაგრამ არა როგორც თვისობრივად აბსტრაქტულ ნაწარმოებებშია მიღებული.

ნიადაგი, რაზეც ეყრდნობიან ფორმები, სხეულები და სახეები, არ იძლევა მისი შეცნობის საშუალებას — მხოლოდ ასოციაციები ილვიძებენ და კვლავ უკან ბრუნდებიან; პეიზაჟიც, რომლის გაშიფვრაც ძნელად ხდება, მიუთითებს ყველაფერ არსებულისა და სულიერის კავშირზე. ეს გამოვლინება ზუსტად რომ ბევრისმეტყველია. ყოველივე ამის ნიადაგზე ხდება იდეის შესანიშნავი ინტერპრეტაცია, ამქვეყნიურისა და იმქვეყნიურის ინტეგრაცია ვიზუალურ ფორმაში...

ის, რომ გაიგო ფორმა, ნიშნავს საიდუმლოსთან ახლოს ყოფნას, დაძლიო ფორმა კი — ცხოვრებას. გია ბუღაძე ფორმას ყოველთვის სძლევს, მისი გაგება კი... ჩვენზეა.

**ნათია ბახტაძე**
**ხელოვნებათმცოდნე**

**პარადოქსი**

უწამლოდ და უექიმოდ
შიმშილისგან ვიხოცებით,
თან ვტრაბახობთ უმაღლესი
დონის პოლიტიკოსებით.

* * *

დაზაფრული ვართ რუსული ჯიშით,
ვცხოვრობთ მუნჯურად, ვაით და
ვიშით,
პირი სავსე გვაქვს წყლითა და
ქვიშით
ორთავიანი არწივის შიშით.

**ნიკოლოზ იოსებიძე**




## რეკლამის განთავსების მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველო“ თავისი ნომრის ერთ გვერდს
უთმობს სარეკლამო განცხადებებს.
რეკლამა კეთდება შეღავათიან ფასებში.
ყოველი მესამე გამოშვება თქვენთვის
**უფასოა**

დაგვიკავშირდით ტელ.: 93-18-41, 93-20-36 ან მობრძანდით მისამართზე:
თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული,
გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.



*გამოიწერეთ გაზეთი*

## „საქართველო“

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს“ ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:

– მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
– გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
– დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
– ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95-87-36
– ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74-14-47
– აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
– რ.თაბუკაშვილის ქ. №12
– ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22-64-58
– ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვიონ „მაცნე“-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად.
ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.



## ექსპრეს აუდიტ სერვისი

*ლიცენზია №091*
*გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურებას*
*ზოგად აუდიტში*

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
ქონების შეფასება-გადაფასება;
ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. 5, მე-2 სართ. ტელ.: 93-15-89





სუნამო

თქვენი
საუკეთესო
არჩევანი

TURQUOISE
EAU DE
PARFÜM


**წინა ნომრის კროსვორდის პასუხები**

1-3. პიუგო; 2-5. გოლგოთა; 4-6. თაგორი; 6-8. იონა; 7-10. ნალარა; 9-12. რაფაელი; 11-14. ლიახვი; 13-15. ვიზა; 15-17. ალიკანტე; 16-19. პიეტა; 18-21. ტაეპი; 20-22. პილატე; 22-24. ეკრანი; 23-25. ნინიძე; 25-27. ეიშე; 26-28. შური; 28-29. ინდირა; 29-31. აკოფა; 30-33. ფარი; 32-34. რიდი.

# ჩაინვორდი



1-3. დაუკ... — ხ...; 2-5. ფეხბურთის ვარსკვლავთაგანი; 4-7. ალმგზნები ნივთიერება; 6-8. ურჯულო, არამუსლიმანი ჭეშმარიტი მუსლიმანის რწმენით; 8-9. იმ ადგილას, იმ მხარეს; 8-10. ერთ-ერთი ლათინური ასო; 10-12. სასიგნალო მოწყობილობა; 11-14. მუსლიმანთა ლოცვა, დღეში ხუთჯერ შესასრულებელი; 13-16. საშუალო ხმა სამხმიან სიმღერაში; 15-17. აბეზარა შოფერი ქართული ფილმიდან; 1-18. მეცნიერების ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე; 18-12. ვულკანი იტალიაში; 19-21. ფულის ერთეული ინდოეთში; 20-23. „ოტელოს“ პერსონაჟი; 22-5. ხელზე მოსამსახურე შინაყმა ქალი ძველად; 24-26. კრიალოსანი (იმერულ კილოზე); 25-27. დაზგა, რომელზეც ქვემეხის ლულა მაგრდება; 27-29. მცირე ფასად ღირებული; 28-30. პერსონაჟი ჯ. როსინის ოპერისა „სევილიელი დალაქი“; 31-33. ქართული ფილმი; 32-35. კახეთის მეფე, მამისა და ძმის მკვლელი; 34-36. ფოთლები, ჩამოცვენილი ან მოკრეფილი.

## გილოცავთ! გილოცავთ! გილოცავთ!

დიდი გულისყურით შემოგვციცინებს თვალებში ჩვენი საყვარელი დამრიგებელი ქალბატონი **მაია ალანია**. იგი საოცრად წმიდა გულის მქონეა, ამაღლებული, ზნეკეთილი. საკუთარივით უფრთხილდება ჩვენს ლამაზ ბავშვობას, ერთი შეხედვითაც გრძნობს ჩვენს სიხარულს, გულისწყვეტას. ყველა ნაკლის აღმოფხვრას ცდილობს მოზარდიდან. უთვალავი ბავშვი შეუმოსავს სიცოცხლის, სიმართლის სიყვარულით.



„გახსოვდეთ, ვისი გორისანი ხართ“ — სახეგაბრწყინებული ასე იწყებს ხშირად საუბარს, მშობლიური ენის სიყვარულს გვასწავლის, პატრიოტებად გვზრდის. ხშირად ვმსჯელობთ ამა თუ იმ საკითხზე, ბევრჯერ ეთანხმება კიდეც ჩვენს ნააზრევს, კმაყოფილი ღიმილი გადაურბენს სახეზე, როცა მოსწონს პასუხი.

უცნაურ სითბოს და სიყვარულს ვგრძნობთ მისადმი.

— თქვენი ყველაზე დიდი სიხარული რა არის? — არ ვასვენებთ ბავშვები.

— მოსწავლის ფრიადზე სწავლა. — უმალ მოგვიგებს.

— ჯილდო?

— ბავშვისა და მშობლის მადლობა.

უდიდესი მადლიერებით გვინდა გავუმჟღავნოთ ჩვენს მაიკო მასწავლებელს სიყვარული და მივულოცოთ დაბადების დღე, ვარდობისთვის დასაწყისი — 1 მაისი.

**ნ. ჯაფარიძე, ნ. ხიზამბარელი, რ. ასლამაზაშვილი**

ვულოცავთ ბატონ **ანზორ ხურციძეს**, ღირსეულ ქართველს და სასიქადულო მამულიშვილს შვილების, დიანასა და აკაკის გაბედნიერებას. ვუსურვებთ ახალშექმნილ ოჯახს გამრავლებას, დიდ სიყვარულს და ბედნიერებას ერისა და მამულის საკეთილდღეოდ.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია და გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია

ვულოცავთ ქეთინო სისაურს და კოტე მასხულიას ქალიშვილის შეძენას. გისურვებთ ბედნიერებას, გამრავლებას და სასახელო შვილების აღზრდას.

**გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია**


დაინტერესებულ ორგანიზაციებს და კერძო პირებს ვთავაზობთ საუკეთესო ხარისხის პურ-ფუნთუშეულს. განაცხადი მიიღება პეიჯერზე (900) 70-60 ადგილმდებარეობა (მისამართი) მიუთითეთ.

იყიდება მეტრო „გოცირიძესთან“ სამოთახიანი ბინა, რვასართულიანი სახლის III სართულზე, სარდაფით, მუდმივი დენით, ტელეფონით. არის მანქანის გასაჩერებელი ადგილი. ფასი 30000 დოლარი. მის. ვაჟა-ფშაველას გამზ. 39, ტელ: 39-31-59.

იყიდება 5-ოთახიანი ბინა მეტრო 300-არაგველთან. ჭერის სიმაღლე 3მ 30 სმ, საერთო ფართი 100 კვმ, მიშენებულია ლოჯი 182 კვმ, ლოჯის ქვეშ 2 ავტოფარეხის ადგილი. წყალი და სინათლე მუდმივად არის. ფასი შეთანხმებით. მის: აწყურის ქ. I სად, ბინა1. ტელ: 74-52-12 ანა

იყიდება წყლის გამოსახდელი ჩეხური წარმოების აპარატი, ДРЭ-10 ცილინდრული მინის კორპუსით. საწყისი ფასი 150 დოლარი. ტ:96-10-50 თამაზი

იყიდება საყინულე 90 წლის გამოშვება. ტელ:62-96-19 შაბათ-კვირის გარდა.

იყიდება კერძო სახლი 2-სართულიანი, ტელეფონით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. მის: I პიონერის ქუჩა 46. ფასი 13000 დოლარი. ტელ: 32-62-04 თამაზი

იყიდება ასაწყობი ბუხარი. ფასი 250 დოლარი. იყიდება რკინის კარადა. ფასი 150 ლარი. ტელ: 32-62-04 თამაზი

იყიდება 3-ოთახიანი დიღმის მასივში, მე-4 კვარტალში, მე-2 კორპ, I სად, ბინა 10, სტანდარტული სუფთა ბინა, მუხის პარკეტით, ფართი 50 კვმ, ლოჯით, ჩაშენებული კარადებით, გარაჟით, სარდაფით, ტელეფონით, ფასი 18000 დოლარი. ტელ: 52-79-70 30-50-80

ვყიდი გერმანული კომპაქტდისკების ნაკრებს (50 ცალი). არის კლასიკის, ბაროკოს, რომანტიზმის პერიოდის კომპოზიტორთა და ქანთრის წარმომადგენელთა ნაწარმოებები ... ლინის ფილარმონიის ორკესტრის შესრულებით. ... 50 კომპოზიტორის 200-მდე ნაწარმოები. ფასი 1200 დოლარი. ტელ: 61-71-43 ნათია

იყიდება სასწრაფოდ, იაფად საბურთალოს ქუჩაზე-იპოდრომთან მე-4 სართულზე არასტანდარტული სამოთახიანი ბინა ლოჯით. მიშენებული 40 კვმ ბინა ახალი პროექტით, 5-ოთახნახევრიანია. ოთახები იზოლირებულია. კედელში სათავსოებით. აქვს სარდაფი, მანქანის სადგომი, ნაწილობრივ სარემონტოა. საწყისი ფასი 32000 დოლარი. ტელ: 72-35-66 დოდო ან ნათია

იყიდება ვერაზე კარკასი 4-ოთახ. 170 კვმ, კაპიტალური გარაჟით. ფასი 60000 დოლარი. ტელ: 98-78-33

იყიდება საბურთალოზე დუპლექსის კარკასი 260 კვმ მ-5, მე-6 სართული, ფასი 45000 დოლარი. ტელ: ...78-33

იყიდება კერძო ბინა ოთხოთახიანი, ყველა სათავსოთი, სარდაფით 100კვმ, არის დაშენების საშუალება, მუდმივი დენით, ტელეფონით. ფასი 35000 დოლარი. მის: კარგარეთელის 2ა. ტელ: 95-79-46 ქეთო

იყიდება მიწის ნაკვეთი სვანეთის უბანში. ფასი 2500 დოლარი ტელ: 34-47-53

იყიდება პოლონური სერვანდი. ფასი 150 დოლარი. იყიდება პოლონური წიგნის კარადა. ფასი 100 ლარი. ტელ: 34-47-53 ან 34-74-85

იყიდება ახალი არაბული მრგვალი მაგიდა ერთ ფეხზე რუსულის სტილში. მაგიდა არ იშლება (4-5 კაცზე), ფერი მუქი ყავისფერი. ფასი 120 ლარი. ტელ: 61-11-39 ან 61-25-48

ვასწავლი ჭრა-კერვას და მოდელირებას გამარტივებული მეთოდებით. სწავლების ხანგრძლივობა 4 თვე. ტელ: 98-34-65


სპორტკლუბი „ტოტო-ბამბო“ იუწყება, რომ გარდაიცვალა ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის ავტოინსპექციის უფროსი ავთო ნებიერიძე და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გარდაიცვალა ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის ავტოინსპექციის უფროსი ავთო ნებიერიძე. პანაშვიდები გაიმართება: სამშაბათს და ოთხშაბათს ოთხ საათზე.
გამოსვენება ხუთშაბათს, ორ საათზე. მის: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, მე-3 მიკრორაიონი, მე-6-3 კორპუსი, მე-5 სართ.

მე-15 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და მოსწავლეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ანა დარსაველიძის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს


**მთავარი რედაქტორი**
**სერგო ჯანაშია**

**ტელეფონები:**
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს
გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444